ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 15 აპრილი, 2019 №88 (8042) ფასი: 60 თეთრი

„ხინკლის სახლს“ რუსთაველზე ცეცხლი გაუჩნდა

გვ.7

12 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„ზუგდიდის მერად კენჭს სანდრას კალთას ამოფარებული სააკაშვილი იყრის“

გვ.4

„სამეგრელო, შესაძლოა, ნაციონალების პლაცდარმად იქცეს“

კახა მიქაია: „ოცნებაში“ პორტირებულმა ნაცებმა გახარიას პროვოკაცია მოუწყვეს“

„საქართველო „დაიცავი საქართველოსგან“ არის დასაცავი“

გვ.2

გოჩა მირცხულავა: „წითელი ინტელიგენცია ემზადება, რომ ხელისუფლება მესამედ დაამხოს“

„ოცნება“ პოლიტიკაში ახალ „საფრთხობელად“ ვასაძეს შემოიყვანს“

გვ.3

ხათუნა ლაგაზიძე: „თუ ახალი ძალები გაერთიანდებიან, საპროტესტო მუხტი გაცილებით გაძლიერდება“

სამართალი გვ.7

22 წლის გევო სარქისიანს 19 ჭრილობა დანით მიაყენეს, მომაკვდავი კი ჩაქოლეს. ოჯახი დამნაშავეების დასჯას ითხოვს

„ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატ დავით მდინარაძის საავადმყოფოს ეზოში მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო

შსს-მ ნარკოტიკების ინტერნეტით რეალიზაციის სქემა გამოავლინა

ეკონომიკა გვ.6

გიორგი კეპულაძე: „კერძო მევახშეები სესხებს უფრო მარტივად და ძვირად გასცემენ“

2019 წლის ბოლომდე 11 ჰესის ექსპლუატაციაში შეყვანა იგეგმება

რას ვყიდულობთ და ვყიდით თურქეთში

ISSN 1987-9385

5 მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილი და რულოვსი სურკოვის ფავორიტები არიან“

7 გურიაში უცნობმა პირებმა ფერმერის სახლი დაცხრილეს

5 სოსო ცინცაძე: „მთაწმინდის მოგება „ოცნებას“ გაუჭირდება“

8 ზელენსკი პოროშენკოსთან სტადიონ „ოლიმპიისკზე“ დებატებზე არ მივიდა

„საქართველო „დაიცავი საქართველოსგან“ არის დასაცავი“

შორენა მარსაგიშვილი

გოჩა მირცხულავა: „წითელი ინტელიგენცია ემზადება, რომ ხელისუფლება მესამედ დაამხოს“

რისთვის ემზადება წითელი ინტელიგენცია, აქვს თუ არა კავშირი ივანიშვილთან „დაიცავი საქართველოს“, ვინ შეიძლება ვიხილოთ ამ გაერთიანების უკან? – ამის შესახებ ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– თქვენმა სლოგანმა, რომ საქართველო „დაიცავი საქართველოსგან“ არის დასაცავი, დიდი რეზონანსი გამოიწვია. რატომ ფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყანა მათგან უნდა დავიცვათ?

– კიდევ გავიმეორებ, რომ საქართველო „დაიცავი საქართველოსგან“ უნდა დავიცვათ. უნდა დავიცვათ იმიტომ, რომ ჩვენ ეს გაკვეთილი უკვე გავიარეთ. ამ მოძრაობის იდეოლოგებს ავიწყდებათ, რომ ჭაბუა ამირეჯიბის კონტექსტი – დაიცავი საქართველო – იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების თანადროული იყო, რა ვითარებაც წლების წინ გვქონდა.

13 აპრილს გამართული „დაიცავი საქართველოს“ შეკრებაზე მყოფი ადამიანების დიდმა ნაწილმა „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე, ანუ 7 წლის განმავლობაში უამრავი სიკეთე მიიღო. ერთი საყვედურიც კი არ დასცდენიათ ამ პარტიის მიმართ.

მოძრაობის წევრების ემოციური აღტყინებები იმდენად ყალბია, რომ მათი შინაარსობრივი განვრცობაც კი არ მინდა. ძმები გაჩეჩილაძეები მხოლოდ მას შემდეგ აღშფოთდნენ, რაც



ვიღაც მათ ბიზნესს შეეხო და ხელისუფლებასთან ვერ დალაგდნენ.

ან იქნებ მას შემდეგ აღშფოთდნენ, რაც ბატონი ლევანი ნავთობის კორპორაციასა და რკინიგზაში ვერ დალაგდა და ბატონმა გიამ ვერ მიიღო რაღაც სიკეთეები.

იგივე ითქმის „დაიცავი საქართველოს“ სხვა წევრებზეც. ისინი მხოლოდ მას შემდეგ აღშფოთდნენ, რაც ივანიშვილისგან ვეღარ მიიღეს სიკეთეები.

ნურც ნაციონალურ მოძრაობას და ნურც სხვა ოპოზიციურ პარტიებს ნუ დაავიწყდებათ, რომ ადამიანები, რომლებიც 13 აპრილს ფილარმონიაში შეიკრიბნენ, მათაც მტრობდნენ.

ეს ოდიოზური ფიგურები იყვნენ ზვიად გამსახურდიას მტრებიც. ისინი ქართული სახელმწიფოს განვითარების წინააღმდეგი არიან, მიუხედავად იმისა, პოლიტიკური დღის წესრიგის მიხედვით, როდის რა მხარეს აღმოჩნდებიან.

მიუხედავად იმისა, თუ რა ასაკის ადამიანები ისხდნენ ფილარმონიაში, ეს არის საბჭოთა ინტელიგენციის და ნომენკლატურის მორიგი რევანშის მცდელობა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ჯავაჰარლალ ნერუს სიტყვებს გამოვიყენებ – არ არსებობს უფრო დიდი მტერი საკუთარი ხალხისა, ვიდრე კოლონიზატორის მიერ აღზრდილი ინტელიგენცია.

ასაკობრივი გრადაციის მიუხედავად, ჩვენ ფილარმონიის დარბაზში ვნახეთ კოლონიზატორის აღზრდილი ინტელიგენცია, რომელმაც ბოლო 30 წლის განმავლობაში ქართულ სახელმწიფოს არაერთხელ უმუხთლა და ესროლა იარაღი. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც წლების წინ სამოქალაქო ომის ქაოსში ჩაძირეს საქართველო.

ნებისმიერი პოლიტიკური ძალის ამოცანა უნდა იყოს, რომ ეს ხალხი ხელისუფლებას, ძალაუფლებას და გავლენებს არ გააკაროს. მნიშვნელობა არ აქვს, ეს ძალები ხელისუფლებაში იქნებიან თუ ოპოზიციაში.

– თქვენი აზრით, „დაიცავი საქართველოსთან“ არავინ უნდა ითანამშრომლოს?

– ამათთან არც ერთმა ჯანსაღად მოაზროვნე ძალამ არ უნდა ითანამშრომლოს. კიდევ გავიმეორებ, რომ ჭაბუა ამირეჯიბის სლოგანი – დაიცავი საქართველო – წლების წინ სულ სხვა მოცემულობაში იყო ნათქვამი და ის საკმაოდ ეკლექტურ ჯგუფს აერთიანებდა. მათი იდეა იყო საქართველოს დაცვა.

ახლა მივიღეთ ერთსახოვანი ადამიანების გაერთიანება, რომლებსაც ერთმანეთთან მენტალური ბმა აკავშირებთ. მათთვის მთავარია, იცხოვრონ საკუთარი კომფორტისთვის, საკუთარი ავტორიტეტისა და გავლენების გასაძლიერებლად.

ახლა ქართველ საზოგადოებაზეა დამოკიდებული, რამდენად წამოეგება მათ ყალბ პათეტიკასა და ემოციას, რომ საქართველო დასაცავია. საზოგადოება ამაზე თუ წამოეგო, ეს მხოლოდ მისი შეცდომა არ იქნება.

– ვისი შეცდომა იქნება კიდევ?

– ეს ყველა იმ საღად მოაზროვნე ადამიანის შეცდომა იქნება, ვინც ქართველ საზოგადოებას ნათლად არ დაანახებს ამათ ნამდვილ სახეს.

მოდით, ახლა იმაზეც ვისაუბროთ, თუ რა გახდა ამ ჯგუფის აღტყინებისა და მდგომარეობიდან გამოსვლის მიზეზი. გვეუბნებიან, რომ ამის მიზეზი სასამართლოში მიმდინარე პროცესებია.

მას შემდეგ, რაც „ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, ამ ადამიანებს კრინტიც კი არ დაუძრავთ იმაზე, რომ სასამართლოს პრობლემები აქვს. ამ წლების განმავლობაში ამ ხალხისგან არ მომისმენია, რომ ქართულ მართლმსაჯულებას უჭირს. ამ წლების განმავლობაში მათგან მხოლოდ ის მესმოდა, რომ ნაციონალური მოძრაობა არის ბოროტება.

სამაგიეროდ, მათ არსად და არასდროს უთქვამთ, რომ ქართული სახელმწიფო დგას კატასტროფის წინაშე. გვეუბნებოდნენ, აგერ არის ბატონი ბიძინა, ყველაფერი კარგად მიდის და ოცნებებიც ახდებაო. მას შემდეგ, რაც პირადი ოცნებები ვერ აისრულეს, კიდევ ერთი გადატრიალების მოწყობა გადაწყვიტეს.

მესამე ძალის შექმნაზე რომ აქვთ პრეტენზია, რისი მესამე ძალა არიან? ესენი არ იყვნენ, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ გოგა ხაინდრავასთან ერთად რომ მოგვიწოდებდნენ „ოცნების“ კანდიდატის მხარდაჭერისკენ? ეს რამდენიმე თვის წინ ხდებოდა. მაშინ ამ საზოგადოებამ არ იცოდა, „ქართული ოცნება“ ასეთი დამანგრეველი რომ იყო?

თუ თავის დროზე, როგორც საკაშვილის მიერ გაცემული ბონუსები ვერ იკმარეს, ახლა ივანიშვილის გაცემული ყოველთვიური დახმარებები აღარ ჰყოფნით. იქნებ ამიტომ აღარ უნდათ „ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა.

იმდენს ვერ ხვდებიან, რომ ქართველ ხალხს წითელი ინტელიგენცია ყელში ამოუვიდა? ერთი რომელი მათგანი მეტყვის, რომ თავისი მენტალობით წითელი არ არის. ქართული სახელმწიფოს სადარაჯოზე არც ერთი მათგანი არ მდგარა.

ბატონი ფოფხაძე და ქალბატონი ბესელია ნუ დაგვამადლიან იმას, რომ ათი წელია, ქართული მართლმსაჯულების სადარაჯოზე დგანან. რაღაც არ მახსოვს, რომ მათ აქამდე რამე გაეპროტესტებინათ, აფგან მუხთარლის თემა მურუსიძის თემაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, მაგრამ არც ბესელიასა და არც ფოფხაძეს ამის გამო „ოცნება“ არ გაუკრიტიკებიათ.

რა აწუხებს ბატონ კვაჭანტირაძეს? თურქეთში კონსული რომ იყო და გამოაბუნძულეს? ამის მერე შეწუხდა უსამართლობით? თუ მანამდეც წუხდა? რაღაც ღირებულებების აღრევასთან გვაქვს საქმე.

ფილარმონიაში გამართულ შეკრებას კრიმინალები და წარსულში მრავალგზის ნასამართლევი ადამიანებიც ესწრებოდნენ. ბოლოს და ბოლოს, აღარ რცხვენიათ? არ უნდათ, რომ ამ ქვეყანაში იცხოვრონ?

ბიძინა ივანიშვილის ადვოკატობას არ ვაპირებ, მას, სხვა მმართველების მსგავსად, არაერთი შეცდომა აქვს დაშვებული. ეს შეცდომები უკავშირდება იმას, რომ ყველა მმართველი სხვადასხვა ეტაპზე ცდილობდა, ყოფილიყო მაამებელი ამ კასტის მიმართ.

ეს არის კასტა, რომელიც ყველა ეტაპზე „მოღვაწეობდა“ იმისთვის, რომ საკუთარი ცხოვრება კარგად მოეწყო. ქართული სახელმწიფოსთვის მათ არაფერი გაუკეთებიათ.

დავით მაღრაძე ის დავით მაღრაძე არ არის, რომლის დაწერილ ტექსტზეც ჰიმნს ვმღერით?

– ამ ტექსტს მაღრაძის ჰქვია, თორემ მისი დაწერილი სულაც არ არის.

– ჰიმნის ავტორად წერია დავით მაღრაძე და ამის გამო შუბლზე ძარღვიც კი არ უტოკავს. ბატონი მაღრაძე აქამდე კარგად ახერხებდა ხალხის აგდებას. ეს აგდებული ხალხი ძალიან კარგად გამოიყენეს 2012 წელს. სამაგიეროდ, მას და მისნაირებს არასდროს უთქვამთ, შეცდომები გვაქვს დაშვებულიო.

მათ არასდროს უთქვამთ, გამსახურდია ცუდ პრეზიდენტად მიგვაჩნდა, მაგრამ ის იარაღით არ უნდა დაგვემხოო. ამას არც არასდროს იტყვიან.

– რატომ არ იტყვიან?

– ისინი დღემდე თვლიან, რომ საქართველოს განვითარება მათი მონაწილეობის გარეშე არ შეიძლებოდა. ისინი უნდა ყოფილიყვნენ ზევით და ჰქონოდათ მუდმივი პრივილეგიები.

ახლაც ასეა და ასე იყო საკაშვილის დროსაც. მოდით, გავიხსენოთ, რის შემდეგ დაიწყეს საკაშვილის წინააღმდეგ გამოსვლები. მათ ინსტრუმენტად გამოიყენეს ქართველი ხალხის გაჭირვება, ააგდეს ისინი და მათი დახმარებით შეცვალეს ხელისუფლება, შემდეგ თავად მოვიდნენ სათავეში.

ისინი ყველაზე კომფორტულად თავს შევარდნაძის დროს გრძნობდნენ. მაშინ წითელი ინტელიგენცია თავისი რანგით ე.წ. კანონიერ ქურდებზე მაღლა იდგა – ჩადენილი დანაშაულების გამო მათ ციხეში ერთი დღეც კი არ გაუტარებიათ, მიაჩნდათ, რომ თავიანთი ლექსებისთვის, სიმღერებისთვის, განცხადებებისთვის ქართველი ხალხი მათ ფეხებთან უნდა ყოფილიყო. მუდმივად უნდა ვემსახუროთ ამათ იმის გამო, რომ კარგ ლექსებს წერენ.

– ეგეც საკითხავია, წერენ თუ არა კარგ ლექსებს.

– ამის საუკეთესო განმსაზღვრელი არის გაყიდული წიგნები, იქიდან მიღებული ჰონორარი და ავტორიტეტი. ლექსების გამო ხელისუფლება არავის უნდა აძლევდეს პრივილეგიებს, ჩუქნიდეს აგარაკებს და ა.შ. იკმარონ, რაც მათ ქართველმა ხალხმა გაუკეთა.

– თქვენ „დაიცავი საქართველოს“ შექმნას ამ ადამიანების დაუკმაყოფილებელ ამბიციებს უკავშირებთ. ბევრი მიიჩნევს, რომ ამის უკან ივანიშვილი დგას და ეს მოძრაობა რეალურად „ქართული ოცნება 2“-ია.

– ბიძინა ივანიშვილი არ დგას „დაიცავი საქართველოს“ უკან. ამ ხალხს საკუთარი დღის წესრიგი აქვს. ეს მოძრაობა იმიტომაც განახლდა, რომ ივანიშვილმა მათ რაღაცები არ გაატანინა. ახლა ააგდეს ხალხი, გაიძახიან, არც ნაცი გვინდა, არც ქოცი და მესამე ძალა ვართო.

მესამე ძალა არა, მაგრამ ისინი წარმოადგენენ ძალას, რომელიც ცდილობს, საქართველოში მესამედ დაამხოს ხელისუფლება. გამსახურდია ტყვიით დაამხეს, საკაშვილი – ტყუილებით.

იმას არ ვამბობ, რომ საკაშვილს არჩევნები არ უნდა წაეგო. უბრალოდ, ამათ იმდენი ტყუილი შემოიტანეს პოლიტიკაში, იმდენი ზიზღი დათესეს, ისე დააპირისპირეს ხალხი ერთმანეთთან, რომ ეს ჯგუფები მზად არიან, ერთმანეთს იარაღიც კი ესროლონ. ეს მათ ინტერესებში შედის, იმიტომ, რომ ამით ისარგებლებენ.

ვიმეორებ, ეს არის ძალა, რომელიც ცდილობს, საქართველოში მესამედ დაამხოს ხელისუფლება.

– დიდი გამოცდილება კი აქვთ, მაგრამ მესამე ცდა არ გამოუვათ. საზოგადოება მათ გააქტიურებას უარყოფითად შეხვდა.

– ამათ ახლა ხალხი დასცინის, მაგრამ მე სხვა საშიშროებას ვხედავ. ხელისუფლებასა და ოპოზიციას თუ კიდევ შერჩათ გონიერება, ისინი აუცილებლად უნდა ხედავდნენ საშიშროებას.

ნაციონალებმა დაანებონ თავი იმაზე საუბარს, რომ ეს არის ივანიშვილის პროექტი. ბიძინას მხარემ შეწყვიტოს იმის მტკიცება, რომ ამით ნაციონალები ისარგებლებენ. ორივე მათგანმა უნდა გაიაზროს, რომ „დაიცავი საქართველოს“ შეიძლება უკან დაუდგნენ მკვეთრად პრორუსული ძალები, რომლებსაც შეუძლიათ, სახელმწიფო დააზიანონ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნება“ პოლიტიკაში ახალ „საფრთხობელად“ ვასაძეს შემოიყვანს“

იაგო ნაცვლიშვილი

14 აპრილს საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ შეკრება შედგა, რომელიც, შესაძლოა, ახალ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდეს. „დაიცავი საქართველოს“ შეკრებას, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესსა და მოსალოდნელ შედეგებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე აფასებს.

– რა გითხრათ „დაიცავი საქართველოს“ შეკრებამ?

– პირველი ის მითხრა, რომ თბილისის მოსახლეობაში იზრდება საპროტესტო განწყობა. არა მარტო საპროტესტო განწყობა, არამედ თბილისის მოსახლეობაში სულ უფრო და უფრო დიდია იმ ადამიანთა რიცხვი, რომელიც მზად არის, რომ პროტესტი აქტიური ფორმით გამოხატოს. ეს არის სიმპტომი, რომელზეც „ოცნებამ“ ყურადღება უნდა გაამახვილოს, იმიტომ, რომ ასე იწყებოდა საქართველოში ყველა ხელისუფლების ცვლილება, აქტიური მოქალაქეების შეკრებით.

აქ არ იყვნენ არც „ქართული ოცნებისა“ და არც ნაციონალური მოძრაობის მომხრეები, მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც ეძებენ ახალ ლიდერებს და ახალ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც აქტიურად დაუჭერენ მხარს, უფრო მეტნი არიან და საკუთარი პოზიციის აქტიურად გამოსახატად ემზადებიან.

თავად „დაიცავი საქართველოს“ პერსპექტივა დამოკიდებულია ერთ რამეზე, რამდენად შეძლებს, ითამაშოს შემკრების როლი, რამდენად იქნება მომხიბვლელი იმ პოლიტიკური ჯგუფებისთვის, რომლებიც ასევე ემზადებიან აქტიურ პოლიტიკაში შემოსასვლელად.

– „დაიცავი საქართველოს“ მესამე პოლიტიკურ ცენტრად ხედავთ?

„შეიძლება, თავად ივანიშვილსაც არ სჯეროდეს იმის, რაც მან ხუხაშვილსა და უსუფაშვილზე თქვა: ის განცხადება, რომ ხუხაშვილი და უსუფაშვილი ნაციონალურ მოძრაობასთან ბრძოლაში გულწრფელები არ იყვნენ და ისინი იყვნენ ვინმესგან ჩანერგილები“

– თუ ის იქნება მომხიბვლელი დანარჩენი ძალებისთვის, მაშინ ის იქნება მესამე პოლიტიკური ცენტრი. მაგრამ ამ ეტაპზე პოლიტიკაში შემოსვლის მოსურნე ძალებს ერთმანეთთან მისვლის დიდ სურვილს მე ვერ ვატყობ.

– მომდევნო საპარლამენტო არჩევნებზე სამპოლუსიანი რეალობა გვექნება?

– არა. ეს მოხერხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი გაერთიანდებოდნენ ახალი პოლიტიკური ძალები და ძველი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც საკუთარ თავს ვერ ხედავენ ვერც „ოცნებასთან“ და ვერც „ნაცმოძრაობასთან“. ასეთი გაერთიანების მზაობას კი ვერ ვხედავ. ამიტომაც ვერ იქნება სამპოლუსიანი რეალობა.

– მრავალპარტიული პარლამენტის მოლოდინი გაქვთ?

– აუცილებლად, მაგრამ, ვფიქრობ, რეალურად მრავალპარტიული და არა დღევანდელის მსგავსი. დღესაც ოთხპარტიულია პარლამენტი, მაგრამ მრავალპარტიულობა მხოლოდ შლეიფია „ქართული ოცნებისთვის“.

მომავალ პარლამენტში, ვფიქრობ, მცირე პარტიებსაც ექნებათ ძალიან დიდი პოლიტიკური წონა, სწორედ იმიტომ, რომ, შესაძლოა, მათ გარეშე ვერ დაკომპლექტდეს მთავრობა.

რაც შეეხება იმას, რატომ ვერ იქნება სამპოლუსიანი რეალობა – იმიტომ, რომ „ოცნებისთვის“ ძირითად ოპონენტად იქნება ნაცმოძრაობა, რომელიც ასევე შეასრულებს საფრთხობელას როლს. მეორე მხარეს კი „ოცნებამ“ შეიძლება შემოიყვანოს ახალი „საფრთხობელა“ ლევან ვასაძის სახით, თუ თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ერთი საფრთხობელა აღარ ეყო, ანუ „ოცნება“, ერთი მხრივ, ხელს გაიშვერს ნაციონალებისკენ და მოუწოდებს ხალხს: ვისაც გაშინებთ ნაციონალების შურისძიება, მე დაგიცავთო, მეორე მხარეს კი გაიშვერს ხელს ვასაძისკენ და ასევე მოუწოდებს ამომრჩეველს: ვისაც არ გინდათ რუსული ტანკი, აგერ ვარ ზომიერი და სტაბილურობის გარანტორი ძალაო.

სხვათა შორის, იგივე მესიჯი გამოადგება „ოცნებას“ დასავლეთთანაც: ვასაძესა და რუსულ ტანკს ხომ ვჯობივარ?! დაქსაქსული პოლიტიკური სპექტრი არის ციური მანანა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ძალიან აწყობს.

– ნაციონალური მოძრაობის ირგვლივ შექმნილ კოალიციას არ ექნება შანსი, რომ პირველობა წაართვას „ოცნებას“? მიდის მისი გამსხვილების პროცესიც. რესპუბლიკელებიც ამ ორბიტაზე ტრიალებენ, იქით ოქრუაშვილი აანონსებს ახალი ძალის შექმნას და ისიც ერთობაზე საუბრობს. ეს არ არის „ოცნებისთვის“ საფრთხე?

– ჯერ ამის საფრთხე არ არის, თუმცა გააჩნია, როგორ გადალაგდება პოლიტიკური სიტუაცია. ვერ გეტყვით, რომ ივანიშვილი განსაკუთრებულ საფრთხეს გრძნობდეს ძალაუფლების დაკარგვის თვალსაზრისით. ვინც შევა პარლამენტში, ყველა ისურვებს „ოცნებასთან“ თანამშრომლობას, როგორც კოალიციის მთავარ სუბიექტთან, თუ, რა თქმა უნდა, ისინი ნაციონალების სატელიტები არ იქნებიან.

ხათუნა ლაგაზიძე: „თუ ახალი ძალები გაერთიანდებიან, საპროტესტო მუხტი გაცილებით გაძლიერდება“

საფრთხე, რომელსაც ივანიშვილი ხედავს, არის სასამართლო ხელისუფლების წაღება ნაციონალებისგან. ეს მან ინტერვიუშიც თქვა. ამიტომ ეკიდება ასე პრინციპულად ამ საკითხს.

– იმიტომ გადაიბარა ნაციონალებისგან სასამართლო სისტემა, რომ ამის ეშინია?

– ის ამ საკითხს, როგორც ჩანს, ასე ხედავს, რომ თუ სასამართლო სისტემის მისეული ხედვა არ იქნა გაზიარებული და სასამართლო ხელისუფლება თავისუფალ ცურვაში იქნება, ეს ნიშნავს არა სასამართლოს დამოუკიდებლობას, არამედ მის გადასვლას ნაციონალების კონტროლქვეშ.

მისთვის პრინციპული მნიშვნელობის საკითხია, რომ არ დაუთმოს, არ ჩააბაროს სასამართლო ხელისუფლება ნაციონალებს. ივანიშვილისთვის სასამართლო სისტემის არდაბრუნება ნაციონალების კონტროლქვეშ სწორედ იმ ღირებულებების ერთგულებაა, რითიც ის მოვიდა ხელისუფლებაში 2012 წელს. ამიტომაც გაავლო მან წითელი ხაზი და ბარიერი აღმართა ყოფილ თანაგუნდელებთან, თანაპარტიელებთან, თანამოაზრეებთან და მხარდამჭერებთან, რომლებიც მის ხედვას არ იზიარებენ, რადგან მიაჩნია რომ მათი ხედვები სასამართლო სისტემას ნაციონალებს გადააბარებს.

არანაკლებ მტკივნეულია მისთვის გუნდის დაშლის პროცესიც, რადგან, როგორც აღმოჩნდა, ის ერთი წელი, რომელიც მან საჯაროდ სთხოვა საზოგადოებას ყველაფრის გამოსასწორებლად საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, სწორედ გუნდის შეკავშირებისთვის უნდოდა მოეხმარა და ეს ვერ მოხერხდა. ფაქტია, რომ გუნდი მაინც იშლება. თუმცა, როგორც ჩანს, ივანიშვილი ფიქრობს, რომ გუნდისთვის ახალ სახეებს ყოველთვის იშოვის, აი, სასამართლო სისტემა თუ ნაციონალებს დაუთმო, მაშინ კი შეუქცევადი პროცესები დაიწყება.

– ივანიშვილის ბოლო ინტერვიუმ ყველა მოლოდინს გადააჭარბა, ზღვარი წაშალა. მოვისმინეთ ყოფილ თანაგუნდელებზე მისი განცხადებები. რა მოიგო ამით?

– შეიძლება, თავად ივანიშვილსაც არ სჯეროდეს იმის, რაც მან ხუხაშვილსა და უსუფაშვილზე თქვა: ის განცხადება, რომ ხუხაშვილი და უსუფაშვილი ნაციონალურ მოძრაობასთან ბრძოლაში გულწრფელები არ იყვნენ და ისინი იყვნენ ვინმესგან ჩანერგილები.

არასწორი ტაქტიკაა, როდესაც 2020-ის გადამწყვეტი არჩევნების წინ ცდილობ, კედელი ააშენო და ბარიერები გაავლო შენს ყოფილ თანაგუნდელებთან და თანამებრძოლებთან. დღეს, პირიქით, მოყვრების შემოკრების ტაქტიკას უნდა ადგეს „ოცნება“.

„ოცნება“ ცხოვრებას იმარტივებს იმით, რომ ცდილობს, ყველა განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანს ნაციონალების კლიშე მიაკეროს და ამით ყველაფერი შავ და თეთრ ფერებში დაანახოს ამომრჩეველს: მე კი არ ვარ ცუდი, არამედ ესენი არიან ცუდები და ნაციონალებს შეეკვრნენო. ამ ლოგიკით გადიოდა „ოცნება“ აქამდე ფონს.

– ეს ხომ უკვე გამოვლილი გვაქვს? წინა ხელისუფლების პირობებში ყველა განსხვავებულად მოაზროვნე რუსეთის აგენტი იყო, ახლა ნაციონალები გახდნენ. ვერ ხვდება ივანიშვილი, რომ ერთი და იგივე პრინციპი ათჯერ ვერ იმუშავებს?

– არ ვიცი. ეს პრინციპი 2020 წლის არჩევნებზე ისევ წამყვანი პრინციპი იქნება. თუმცა, როგორც გითხარით, ეს საფრთხობელა შეიძლება აღარ იყოს ისეთი მძაფრი, როგორიც აქამდე იყო. ამიტომაც ახალ საფრთხობელას შემოიყვანს „ოცნება“. ამის განცდა მრჩება, ასევე ეცდება, ოპოზიციური ელექტორატი დაქსაქსოს. ამას გააკეთებს ბევრი ახალი პოლიტიკური ჯგუფის შემოყვანით, რათა დაანაბიოს ამომრჩეველი, თუ ვის მისცეს ხმა. ამით ამომრჩეველში არსებულ იმედგაცრუებასაც გააღრმავებს: სად ერთი დიდი ძალა, რომლის გამარჯვებისაც ხალხს სჯერა და სად დაქსაქსულობა?! ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

შეიძლება, მოგწონდეს რომელიმე ძალა, მაგრამ არ მიხვიდე არჩევნებზე იმიტომ, რომ მისი გამარჯვების არ გჯეროდეს. რაც უფრო მსხვილი იქნება ოპოზიციური ერთობა, მით უფრო დამაჯერებელი იქნება მისი გამარჯვების უნარი ხალხში. რაც მეტი წვრილ-წვრილი პარტია ამოიზრდება, მით ნაკლებად ირწმუნებს ამომრჩეველი, რომ ამ პარტიებს აქვთ გამარჯვების შანსი. ყველაფერი ეს კი ისევ „ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს.

„მომავალ პარლამენტში, ვფიქრობ, მცირე პარტიებსაც ექნებათ ძალიან დიდი პოლიტიკური წონა, სწორედ იმიტომ, რომ, შესაძლოა, მათ გარეშე ვერ დაკომპლექტდეს მთავრობა“

ბევრ ფაქტორს გამოიყენებს „ოცნება“ იმისთვის, რომ მომავალ პარლამენტში გამწევი ღერძი თავად იყოს.

– ვნახეთ სოციალური პროტესტის რაღაც სიგნალები. ივანიშვილის განცხადების შემდეგ მოვისმინეთ, რომ ივანიშვილს ეშინია აქციების და უნდა გამოვიყენოთო. ელოდებით გაზაფხულის ბოლოს საპროტესტო აქციებს?

– არა. არანაირ განსაკუთრებულ აქციებს არ ველოდები. შეიძლება, იყოს ფრაგმენტული სოციალური უკმაყოფილებები, მაგრამ ხალხი ქუჩაში გამოვა იმ შემთხვევაში, თუ დაინახავს პოლიტიკურ ძალას, რომელსაც შესწევს ხელისუფლების დამარცხების თუ არა, შევიწროების უნარი მაინც.

რა თქმა უნდა, სპონტანური აქციებიც არ გამოირიცხება, მაგრამ ამ გაზაფხულზე განსაკუთრებულ გართულებას არ ველოდები.

ეკა ბესელია: „ივანიშვილს ვაკრიტიკებთ, მაგრამ ვიცავთ ეთიკას“

– ბიძინა ივანიშვილს ვაკრიტიკებთ, მაგრამ ვიცავთ ეთიკასა და კორექტულობას, იმიტომ, რომ როდესაც ხარ 7 წელი იმ პოლიტიკურ გუნდში, რომელსაც ქმნი და ხარ იმ პოლიტიკურ ლიდერთან, რომელთან ერთადაც 7 წელს გაივლი, შემდეგ პირველივე კვირას ლანძღვით არ უნდა დაიწყო ლაპარაკი!

ამის შესახებ დეპუტატმა ეკა ბესელიამ ჟურნალისტების მიერ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

ეკა ბესელიას თქმით, მას ზოგადად პრინციპული პოზიცია გააჩნია, რასაც ლანძღვით არ გამოხატავს.

– მე შემიძლია, ქართულ ლექსიკონში ვიპოვო ძალიან მკვეთრი კრიტიკული კითხვები ისე, რომ არ ვლანძღო ის ადამიანები, ვისთან ერთადაც ვიყავი 7 წელი. მე, პატივს ვცემ იმ პერიოდს და იმ პროცესს, რა პროცესშიც ვიყავი, მაგრამ არ მივიღე ის შემოთავაზება, რაც მე პირადად მქონდა, ყველაფრის ფასად. ამ ყველაფერში იგულისხმებოდა ბევრი შემოთავაზება, არა მხოლოდ ჩემი თანამდებობა, რომელიც დავტოვე იმ 10 კაციანი სიის გამო, არამედ ბევრი სხვა შემოთავაზება მქონდა, რომ გავჩუმებულიყავი და მიმეღო ეს, როგორც მოცემულობა.

მე არ შევიცვალე ჩემი პოზიცია, ვდგავარ იქ, რაც არის ძალიან პრინციპული და მე არასდროს შევიცვლი ამ პრინციპულ პოზიციას. ასე რომ, კრიტიკული არის ჩვენი პოზიცია. ჩვენ, როდესაც წამოვედით, მაშინვე ვთქვით, რომ ვემიჯნებოდით სწორედ ამ ყველაფერს. ასე რომ, უბრალოდ, ამას შეიძლება ლანძღვით არ გამოვხატავ. განსაკუთრებით, გუნდიდან წამოსული პოლიტიკოსი პირველივე დღეს, როცა ლანძღვით იწყებს, მე არ მგონია, რომ ეს კარგად ახასიათებდეს ვინმეს, – განაცხადა ბესელიამ.

ინტერპრესნიუსი

„ზუგდიდის მერად კენჭს სანდრას კალთას ამოფარებული სააკაშვილი იყრის“

შორენა მარსაგიშვილი

კახა მიქაია: „ოცნებაში“ პორტირებულმა ნაცებმა გახარიას პროვოკაცია მოუწყვეს“

ვინ უწყობს შს მინისტრს პროვოკაციებს, როგორ აპირებს სააკაშვილი საქართველოში შემოპარვას, რა პროცესები შეიძლება დაიწყოს სამეგრელოდან, რატომ ითხოვს „დაიცავი საქართველოს“ განახლებას, მართლა აპირებს თუ არა ამ ორგანიზაციის დატოვებას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი კახა მიქაია ესაუბრება.

– „დაიცავი საქართველოს“ პირველ ყრილობაზე თქვენ არ ჩანდით, არადა, ამ წლების განმავლობაში, როცა დანარჩენები ოცნებობდნენ. მხოლოდ თქვენ ასოცირდებოდით ამ მოძრაობასთან. თქვენმა არგამოჩენამ გააჩინა ეჭვები, რომ „დაიცავი საქართველოს“ დატოვებას აპირებთ. მართლა მოდიხართ?

– ყველაფერი მომავალში გაირკვევა. მთელი წლები „დაიცავი საქართველოს“ წარმოვადგენდი, მაგრამ პირველი ყრილობის საორგანიზაციო საკითხებში ჩარევისგან თავი შევიკავე. ამიტომ ვერ გეტყვით, თუ როგორ განვითარდა მოძრაობის შიგნით მოვლენები.

თუ „დაიცავი საქართველო“ მართლა აპირებს მუშაობას, მაშინ მას მართლა სჭირდება განახლება და რეფორმირება. საჭიროა ახალგაზრდების მოზიდვა, რადგანაც არსებულ გამოწვევებს ახლებურად სჭირდება შეხედვა.

– ეს გაახალგაზრდავება არსებული გამოწვევების ახლებურად დასანახად არის საჭირო თუ იმ ოდიოზური სახეების გადასაფარად, რომლებიც ამ მოძრაობაში მრავლად არიან. შეიძლება, თქვენ ამ ადამიანებს ოდიოზურ ფიგურებად არ თვლით, მაგრამ ხალხი მათ ასეთებად აღიქვამს.

– საზოგადოებაში მართლაც არის ასეთი აზრი. მე ხალხის აზრს ყოველთვის პატივს ვცემ და ვითვალისწინებ. მოძრაობის გაახალგაზრდავებაზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ ახალგაზრდული ენერგიაა საჭირო. არსებულ გამოწვევებს ახალგაზრდები ახლებურად გაუმკლავდებიან. ასევე საჭიროა ახალი სახეებიც.

– ჯერ ისევ ამ მოძრაობის წევრად აღიქმებით და გეცოდინებათ, ვინ დგას მის უკან. მართალია, რომ ივანიშვილმა გააცოცხლა „დაიცავი საქართველო“?

– ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გეტყვით, რომ „დაიცავი საქართველოს“ უკან ივანიშვილი არ დგას.

– აბა, რატომ გავრცელდა ასეთი მოსაზრება?

– ეს არის იმ ადამიანების აზრი, რომლებიც გაღიზიანებული არიან „დაიცავი საქართველოზე“, რადგან მასში კონკურენტს ხედავენ. პოლიტიკურ ავანსცენაზე „დაიცავი საქართველოს“ შემოსვლა არ აწყობს.

ბევრი მოწინააღმდეგე გვყავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ იმ პრობლემებს, რაც გვაქვს. იმასაც კარგად ვგრძნობთ, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ მოძრაობის რეფორმირება.

– ამ მოძრაობის წევრებიდან ეს თქვენ ყველაზე ნაკლებად გეხებათ, ნებისმიერ უკანონობას აპროტესტებდით, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ, რაღა ახლა გაგახსენდათ საქართველოს დაცვა, აქამდე ვერ ხედავდით, რა ხდებოდა ქვეყანაში?

– ეს პრეტენზია ნამდვილად არსებობს იმ ადამიანების მიმართ, ვისზეც თქვენ საუბრობთ, მაგრამ, მინდა დავაფიქსირო, რომ „დაიცავი საქართველოს“ აქტუალიზაცია დაიწყო მას შემდეგ, რაც „ოცნებაში“ სერიოზული პრობლემები გაჩნდა, რამაც საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია.

პრობლემები აქამდეც იყო და „დაიცავი საქართველოს“ გააქტიურება ცოტა დაგვიანდა, მაგრამ, როგორც ამბობენ – სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

– რა იქნება „დაიცავი საქართველოს“ შემდეგი ნაბიჯი?

– ამის თქმა ახლა გამიჭირდება. არ ვიცი, მოძრაობად დავრჩებით თუ პოლიტიკურ პარტიად ჩამოვყალიბდებით. საუბრები მიმდინარეობს, მაგრამ გადაწყვეტილი არაფერი არ არის. ამიტომ დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და წინ ნუ გავასწრებთ.

– ზუგდიდის მერის არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია და აქ პოლიტიკური ტემპერატურა ძალიან მაღლა აიწევს, მაგრამ, ასე ადრე თუ დაიწყებოდა არეულობა, არავინ ელოდა. დარჩა შთაბეჭდილება, რომ ეს ყველაფერი გახარიას წინააღმდეგ იყო მოწყობილი.

– მეც დამრჩა ასეთი შთაბეჭდილება, რომ რაც რამდენიმე დღის წინ ზუგდიდში მოხდა, შს მინისტრ გიორგი გახარიას წინააღმდეგ იყო მოწყობილი. მომხდარს აშკარად გასდევდა პროვოკაციის ელფერი.

– თქვენ რატომ დაგრჩათ ასეთი შთაბეჭდილება?

– პოლიცია იმდენად ბრიყვულად და არაპროფესიონალურად მოიქცა, რომ სხვა ვარაუდი, უბრალოდ, არ მაქვს.

ნაციონალურ მოძრაობას რეგიონებში სერიოზული გავლენები აქვს.



ამ მხრივ, ჩემდა სამწუხაროდ, სამეგრელო გამორჩეულია. ჩემს რეგიონში ყოფილი ხელისუფლება სერიოზულად არის წარმოდგენილი, მაგრამ ეს პარტია იმდენად ძლიერი არ არის, რამდენადაც მის წინააღმდეგ არაკომპეტენტურად მოქმედებს „ქართული ოცნება“. აი, აქ არის მთავარი პრობლემა.

ზუგდიდში ისეთი არაფერი ხდებოდა, რომ ამას ამხელა აჟიოტაჟი მოჰყოლოდა. პოლიტიკური და პიარის თვალსაზრისით ნაციონალებმა „ქართულ ოცნებას“ მოუგეს.

ამ ამბავში ჩართული აღმოჩნდა პოლიცია. დიდი ხანია ვამბობ, რომ პოლიციამ უნდა დაიცვას წესრიგი. სამართალდამცავებს სრული უფლება აქვთ, სიმშვიდის შესანარჩუნებლად ამა თუ იმ პარტიის წევრები შეამოწმონ. თუ მოვალეობის შესრულების დროს ისინი ასე მარტივად წამოეგებიან პროვოკაციაზე, მაშინ ისინი არ ყოფილან სამართალდამცავები.

პირდაპირ გეუბნებით, ზუგდიდის პოლიციის უფროს ირაკლი ფაცაციას ქცევა არანაირ პოლიტიკურ ჩარჩოში არ ჯდება.

მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყო გიორგი გახარიას წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია. ეს ფაცაცია წლების წინ, ნაციონალების დროს, ყაზბეგის პოლიციის უფროსი იყო. არსებობს ვიდეომასალა, თუ როგორ ექცეოდა ის 2012 წელს „ქართული ოცნების“ მომხრეებს.

ზუგდიდში მომხდარს პროვოკაციის სუნი ასდის. მტკიცებულებები რადგან არ მაქვს, ამას მხოლოდ ვარაუდის დონეზე ვამბობ.

– როცა ეს ინციდენტი მოხდა, შს მინისტრი ამერიკაში იმყოფებოდა.

– რა თქმა უნდა, ეს გასათვალისწინებელი ფაქტია. მაგიტომ ვამბობ, რომ მომხდარს პროვოკაციის სუნი ასდის. ვიღაცა შეიძლება შემედავოს, მაგრამ საზოგადოება მომხდარს შს მინისტრის წინააღმდეგ მოწყობილ პროვოკაციად აღიქვამს.

– ამბობენ, რომ ივანიშვილმა სწორედ გახარიას ჩააბარა სამეგრელო და მისგან ითხოვს, რომ ზუგდიდში „ოცნების“ კანდიდატმა გაიმარჯვოს.

– ამის შესახებ არაფერი ვიცი. შესაბამისად, ვერ გეტყვით, ჩააბარა თუ არა შს მინისტრს ივანიშვილმა სამეგრელო. ფაქტი არის ერთი, პოლიცია ისე არაკვალიფიციურად არ უნდა მოიქცეს, როგორც ზუგდიდში მოიქცა.

– ვვარაუდობთ, რომ რაც მოხდა, მინისტრის წინააღმდეგ მოწყობილი პროვოკაცია იყო. ვინ დგას ამ პროვოკაციის უკან, ნაციონალები თუ „ოცნება“? როგორც ამბობენ, მმართველ პარტიაში გახარიას ბევრი ვერ იტანს.

– მე არ ვიცი, ვინ იტანს გახარიას „ოცნებაში“ და ვინ – არა. მაინცდამაინც არც ამ ამბის გარკვევით ვარ დაინტერესებული. ფაქტი ის არის, რომ „ქართული ოცნება“ ნაციონალური მოძრაობის ფილიალად იქცა და ამაზე უკვე წლებია, რაც ვსაუბრობ. სხვა რეგიონებში შეიძლება უკეთესად არის საქმე, მაგრამ სამეგრელოში „ოცნება“ ნაციონალებით არის დაკომპლექტებული.

ჩემი პროტესტი მეტს კი არაფერს შეეხებოდა. მმართველი პარტია რომ ნაციონალების თავშესაფრად იქცა, ამის გამო დავტოვე ზუგდიდის საკრებულო, საიდანაც მერე ნაცებმა და ქოცებმა ერთად გამრიცხეს.

საკრებულოს წევრი როცა ვიყავი, ვითხოვდი, რომ მომხდარიყო ხელისუფლებაში მყოფი კორუმპირებულების მხილება და „ოცნება“ გათავისუფლებულიყო პორტირებული ნაცებისგან.

ერთ-ერთ სხდომაზე ნაციონალებსა და „ოცნებას“ ისიც კი ვუთხარი, ერთმანეთისგან უკვე ვეღარ გარჩევთ და იქნებ წითელი და ლურჯი მაისურები ჩაიცვათ-მეთქი. წითელი მაისურები ნაცებისაა, ლურჯი – „ოცნების“.

არ გამოვრიცხავ, რომ გახარიას წინააღმდეგ ნაციონალებმა მოაწყვეს პროვოკაცია. არ ის გამიკვირდება, ამაში პორტირებული ნაცების ხელი ერიოს.

– პორტირებული ნაცები „ოცნება“ გამოდის.

– არაა ასე. მე ნაცებსა და პორტირებულ ნაცებს შორის განსხვავებას ვერ ვხედავ. სხვა თუ ხედავს, ეს განსხვავება სიკეთეში მოახმაროს.

– იმას გამორიცხავთ, რომ გახარიას „ოცნებიდან“ უწყობდნენ პროვოკაციას?

– არც ამას გამოვრიცხავ. მეგრელ იბრაჰიმოვიჩს – გახარიას, მმართველ გუნდშიც რომ ჰყავდეს მოწინააღმდეგე, არც ეგ გამიკვირდება.

დაბრუნდება ამერიკიდან და ალბათ ყველაფერს თავად გაარკვევს. ის, რაც ზუგდიდში რამდენიმე დღის წინ მოხდა, ძალიან ცუდი ფაქტია. „ქართულმა ოცნებამ“ ამას ანალიზი თუ არ გაუკეთა და პოლიციამ თავი თუ არ შეიკავა, ძალიან ცუდად იქნება საქმე.

რადგან საარჩევნო თემაზე ჩამოვარდა საუბარი, რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ნაციონალებზეც. მე იმის წარმოდგენაც კი არ მინდა, რომ სანდრა რულოვსი შეიძლება ზუგდიდის მერი გახდეს. ამას ვერც კი ვუშვებ.

იმას ვაღიარებ, რომ სამეგრელოში ნაციონალური მოძრაობა ძალიან ძლიერად არის წარმოდგენილი, მაგრამ სანდრა რულოვსის გამარჯვება და მერობა მხოლოდ ზუგდიდის პრობლემა არ იქნება.

მინდა, ყველამ გააცნობიეროს, რომ დღეს ზუგდიდის მერად სანდრას კალთას ამოფარებული მიხეილ სააკაშვილი იყრის კენჭს. ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ და მივმართავ ჩემს თანაქალაქელებს. მათ შეუძლიათ, ვისაც უნდათ, იმას მისცენ ხმა ზუგდიდის მერად, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – სანდრა რულოვსს.

„სამეგრელო, შესაძლოა, ნაციონალების პლაცდარმად იქცეს“

ნაციონალურ მოძრაობას რეგიონებში სერიოზული გავლენები აქვს. ამ მხრივ, ჩემდა სამწუხაროდ, სამეგრელო გამორჩეულია. ჩემს რეგიონში ყოფილი ხელისუფლება სერიოზულად არის წარმოდგენილი, მაგრამ ეს პარტია იმდენად ძლიერი არ არის, რამდენადაც მის წინააღმდეგ არაკომპეტენტურად მოქმედებს „ქართული ოცნება“. აი, აქ არის მთავარი პრობლემა

სანდრა რულოვსისთვის ხმის მიცემა არის წარსულისთვის ხმის მიცემა, რომელსაც მომავალი არ გააჩნია. მე არ მინდა, ჩემი ზუგდიდი იმ ავადსახსენებელ წარსულში დაბრუნდეს. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს ქალი არ გახდეს ზუგდიდის მერი.

– ყველაფრის გაკეთებაში რას გულისხმობთ?

– ყველაფერს, რის გაკეთებასაც კანონი არ კრძალავს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ცოლის კალთას ამოფარებული სააკაშვილი არ დაბრუნდეს საქართველოში და, კერძოდ, სამეგრელოში.

ყველაფერს გავაკეთებ, რომ სამეგრელო სანდრა რულოვსის გამარჯვების შემდეგ არ იქცეს ნაციონალების პლაცდარმად, საიდანაც მთელი რესპუბლიკის მასშტაბით უბედურების დაწყება შეიძლება.

ვატო შაქარიშვილი: „შევქმნათ ახალი პოლიტიკური ასპარეზი, რომ 2020 წლის საარჩევნო ბიულეტენებში ღირსეული არჩევანი გავაჩინოთ“

– ამ უპერსპექტივო წრის გასარღვევად, მოდით, ყველამ ერთად დავიწყოთ და შევქმნათ ახალი პოლიტიკური ასპარეზი, 2020 წლის საარჩევნო ბიულეტენებში გავაჩინოთ ღირსეული არჩევანი!

ამის შესახებ საკრებულოში „ქართული ოცნების“ ყოფილმა წევრმა ვატო შაქარიშვილმა მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ შეკრებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ფილარმონიაში შეკრებილები და მოძრაობის მხარდამჭერები თანხმდებიან იმ ძირითად პრინციპებზე, რომლებზეც დგას და უნდა იდგეს სახელმწიფო.

– საბედნიეროდ, აქ მყოფი ადამიანები და ჩვენი თანამოაზრეები, ღირსეული საზოგადოება ვთანხმდებით იმ ძირითად პრინციპებზე, რომელზეც დგას და უნდა იდგეს სახელმწიფო – თეთრს თეთრად აღვიქვავთ, ვაფასებთ წარსულს და ვფიქრობთ, მომავალზე. ჩვენ არ გვინდა წარსულიდან გავიმეოროთ ისეთი საბედისწერო შეცდომები, რომლებიც ქვეყანას ანგრევს. სწორედ ამიტომ, მოდით, აქ ამ დარბაზში დავიწყოთ ყველამ ერთად და საწყისი ისევ ღირსეულმა საზოგადოებამ უნდა მისცეს, რომელმაც ყველა კრიტიკულ დროს, როდესაც ჩვენს ქვეყანას სჭირდებოდა, ძალიან მაღალი დონის ღირსებას გამოიჩენდა, ის ხალხი, რომელიც მეორე ტურის წინ დადგა მოწოდების სიმაღლეზე და ქვეყანას აარიდა რევანშის რეალური საფრთხე. ამ ადამიანებს აბსოლუტურად სხვა დაპირება მივეცით მეორე ტურის წინ და სხვა რეალობა დავახვედრეთ სულ რამდენიმე თვეში. ამიტომ ამ უპერსპექტივო წრის გასარღვევად, მოდით, ყველამ ერთად დავიწყოთ და შევქმნათ ახალი პოლიტიკური ასპარეზი, 2020 წლის საარჩევნო ბიულეტენებში გავაჩინოთ ღირსეული არჩევანი და შემდგომში გავაგრძელოთ კვლავ ჩვენი ქვეყნის დაცვა, – განაცხადა შაქარიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილი და რულოვსი სურკოვის ფავორიტები არიან“

მარიამ მჭედლიშვილი

ზუგდიდის მერის შუალედურ არჩევნებსა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის თავმჯდომარე მირიან მირიანაშვილს.

– ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ივანიშვილი არ დათმობს ზუგდიდს. თქვენ ნათქვამი გაქვთ, რომ ზუგდიდში დაწყებულია კრემლის გეგმის განხორციელება, რომლითაც ხდება ხელისუფლების გადაბარება.

– ზუგდიდში მოქმედებს ხელისუფლების გადაბარების ახალი სქემა. კრემლის გეგმის თანახმად, ზუგდიდი პირველი საფეხურია. მომავალში ამას მასშტაბური გადაბარება უნდა მოჰყვეს. ექსპერტები, რომლებიც აცხადებენ, რომ ივანიშვილი არ დათმობს ზუგდიდს, ტყუიან. ეს პოლიტოლოგები ან განზრახ აყრიან საზოგადოებას ნაცარს თვალში, ან პოლიტიკის ნიუანსებისა არაფერი გაეგებათ.

– ზუგდიდში ატეხილი დავიდარაბა გადაბარების სქემაში ჯდება?

– ცხადია. ნაცმოძრაობისა და „ოცნების“ მონაწილეობით გათამაშებული სცენარი გულისხმობს დასავლეთის ჩართვას სანდრა რულოვსის რეკლამირებაში.

– კონკრეტულად?

– მას შემდეგ, რაც რუსეთის სპეცსამსახურებს დასავლეთმა ჩაუშალა წინა ზრახვები, გადაწყდა მიხეილ სააკაშვილის ჩანაცვლება სანდრა რულოვსით. მისგან ქმნიან ნაცმოძრაობის ნამდვილ ლიდერს. ამისთვის აუცილებელია დასავლეთისგან ყურადღება.

გეგმის ავტორების გათვლით, რაც მეტი აყალმაყალი, შეხლა-შემოხლა და დაკავება იქნება წინასაარჩევნოდ, მით მეტია ზუგდიდსა და სანდრა რულოვსზე აქცენტირების შანსი. რუსეთში ელოდებიან თუნდაც ერთ ნეიტრალურ განცხადებას აშშ-ის საელჩოდან. ისინი დაკმაყოფილდებიან იმითაც, თუ საელჩოს წარმომადგენელი გამოთქვამს იმედს, რომ არჩევნებმა ექსცესების გარეშე ჩაიაროს.

– ჯერჯერობით საელჩოდან ამგვარი არაფერი თქმულა.

– ამ საკითხზე განცხადება არ გაკეთებულა. გეგმის ორგანიზატორები ელოდებიან, როდის გაკეთდება ასეთი განცხადება, რომ შემდეგ სხვა ჯგუფები აამოქმედონ. დაგეგმილია, რომ პრორუსულმა ძალებმა ატეხონ ხმაური იმაზე, რომ დასავლეთი და ზოგიერთი სახელმწიფოს საელჩო ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში. საქართველოში იმყოფება სურკოვის ჯგუფი. ის მუშაობს რულოვსის პოლიტიკური იმიჯის შექმნაზე ქართული სოციუმის თვალში, ასევე იმაზე, რომ ამაში ჩაითრიონ დასავლეთი. რულოვსის გაპიარებას ემსახურებოდა ასევე ქართველი ექსპერტების განცხადებები უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ.

– გულისხმობთ იმას, რომ ექსპერტებმა და ნაცმოძრაობის წევრებმა დაიწყეს ლაპარაკი სააკაშვილის დიდ როლზე უკრაინის პოლიტიკაში?

– ზოგიერთი ექსპერტი ხალხს აჯერებდა, რომ სააკაშვილი უკვე მიდის ზელენსკისთან, მომავალში კი სააკაშვილს პასუხსაგებ თანამდებობაზე ნიშნავენ უკრაინაში. თუ სააკაშვილი უკრაინაში ჩავა, ის იქნება ჩვეულებრივი მოქალაქე და არა პოლიტიკოსი. ამ ექსპერტებს დავალებული ჰქონდათ, გაეფეტიშებინათ სააკაშვილი. ეს ხელს შეუწყობდა წინა პლანზე რულოვსის წამოწევას.

– ნაცმოძრაობის თავმჯდომარედ გრიგოლ ვაშაძე აირჩიეს. ხალხისთვის გაუგებარია, რატომ ითვლება ლიდერად რულოვსი.

– ეს ყველაფერი რუსეთის გეგმებს უკავშირდება. კრემლს გადაწყვეტილი აქვს, მოაგვაროს საქართველოში ხელისუფლების გადაბარების ამბები მანამდე, სანამ აშშ-ის აქცენტი ვენესუელაზეა გადატანილი. საქართველოს კურირება ხან პუტინის თანაშემწე სურკოვს აქვს ჩაბარებული, ხან საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვს.

სურკოვი და ლავროვი საქართველოზე ერთმანეთს ნარდს ეთამაშებიან. ლავროვი და სურკოვი ხეირისათვის იღვწიან. საქართველოდან შემოსავლების დაკარგვა არც ერთს არ უნდა. ბოლო დროს წინა პლანზე გამოვიდა სურკოვი, თუმცა, ლავროვი რომ თამაშგარეშე არ დარჩეს, მისი კადრი ვაშაძე თავმჯდომარედ აირჩიეს. საქართველოს ეკონომიკის 97 თუ 98% რუსეთის ხელშია. საქართველოში ხელისუფლებები იცვლება რუსეთში დაწერილი სცენარების მიხედვით. სააკაშვილი და რულოვსი სურკოვის ფავორიტები არიან, გრიგოლ ვაშაძე და გიგა ბოკერია ლავროვის პროტექტორობით მოქმედებენ. ეს კარგად უწყიან დასავლეთში, სადაც „ევროპულ საქართველოს“ ლავროვის პარტიად მოიხსენიებენ.

– აცხადებდით, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში თავიდან ბიძინა ივანიშვილი გრიგოლ ვაშაძეზე მუშაობდა, მეორე ტურის წინ კი იგი ამერიკელებმა ამხილეს და მეორე ტურის წინ ყველაფერი თავდაყირა დადგა.

– ეს ასე იყო. საპრეზიდენტო არჩევნებზე ივანიშვილი იძულებული გახდა, უკან გამოეტანა 200.000 ბიულეტენი, სადაც 5-იანი იყო შემოხაზული.

– ეს სკანდალური განცხადებაა. ვაშაძის სასარგებლოდ „ოცნების“ ლიდერებს ბიულეტენები გამზადებული ჰქონდათ?

– 200.000 ცალი ბიულეტენი ამოიღეს. ნაწილი ყალბი ბიულეტენი დარჩა და ვაშაძის ხმებს დაემატა.

– ზუგდიდის მერის არჩევის შემდეგ რა გეგმები აქვს რუსეთს?

– ზუგდიდის მერად შეიძლება აირჩიონ სანდრა რულოვსი, მაგრამ რუსეთის საბოლოო მიზანი ეს არ არის. ამ ქალაქში მოსალოდნელია სიტუაციის დრამატიზება, რომ როგორმე მიიპყრონ დასავლეთის, განსაკუთრებით, აშშ-ის ყურადღება. ამერიკელები რუსეთის ამ გეგმებზეც ინფორმირებული არიან და მოვლენების შემდგომ აგორებას ამ სქემით არ დაუშვებენ. 2020 წლისთვის „ქართული ოცნება“ დამთავრებული იქნება. რუსეთი ვერც სხვა პარტიების მოყვანასა და მართვას შეძლებს.

– ვადამდელი არჩევნები გამოირიცხა?

– თუ რუსეთს აქვს ჩაფიქრებული არჩევნების 2019 წელს ჩატარება, მით უარესი მისთვის. ასე უფრო მალე დამთავრდება რუსეთის გავლენა საქართველოში.

– იქმნება ახალი ძალები. აღდგა „დაიცავი საქართველო“, რომელმაც თავისი პირველი შეკრება გამართა..

– ეს გაერთიანება ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის. შესაძლოა, მის წევრებს კარგი მიზნები ამოძრავებდეთ, მაგრამ მთავარია, რა მოცემულობა გვაქვს. ერთია, რა გეგმები აქვს „დაიცავი საქართველოს“ და მეორეა, რას ფიქრობენ მასზე ქართული პოლიტიკის კონსტრუქტორები.

– კერძოდ?

– კრემლის წარმომადგენლებისთვის ეს ორგანიზაცია შეიძლება განიხილებოდეს „ქართული ოცნების“ ჩანაცვლების ერთ ვარიანტად. გაერთიანებას სჭირდება ფინანსები. არ არის გამორიცხული, რომ ვინმე განიხილავდეს „დაიცავი საქართველოს“ მეორე ეშელონის ოლიგარქებისგან დაფინანსებას. მეორე ეშელონის ოლიგარქების გვარებს არ დავასახელებ. მკითხველი მიხვდება, რომელ ბიზნესმენებს აქვთ ფული საქართველოში. ეგ არ გამოვა. მართალია, რუსულ პოლიტტექნოლოგიებს იდეური და ჟანრობრივი კრიზისი დაუდგა, მაგრამ არც ისეთი დევალვაცია განუცდიათ, რომ ჩიტი ბდღვნად ულირდეთ. რუსი პოლიტტექნოლოგები მდინარაძე-ზარდიაშვილისა და ბესელიას ჯგუფებს შორის განსაკუთრებულ სხვაობას ვერ ხედავენ.

– მომავალი არც „დაიცავი საქართველოს“ აქვს?

– ეს გაერთიანება დარჩება დაახლოებით იმავე სტადიაზე, როგორშიც იმყოფება. საქართველოში პერსპექტივა ექნებათ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც მიიღებენ დასავლეთის აღიარებასა და მხარდაჭერას.

რუსეთის გეგმების ჩაფლავება მხოლოდ ქართულ პოლიტიკას არ ეხება. აშშ-ის პოლიტიკური ელიტა არ უშვებს კრემლის სქემების ამოქმედებას არც ერთ სხვა ქვეყანაში, სადაც რუსული გავლენებია. რუსეთს ტყუილად ჰგონია, რომ ამერიკას საქართველოსთვის არ სცალია და ახალი სცენარებით ხელისუფლების ნაციონალებისთვის გადაბარება გამოუვა.

ზუგდიდის მერობით ხელისუფლების ჩანაცვლება არ მოხდება.

სოსო ცინცაძე: „მთაწმინდის მოგება „ოცნებას“ გაუჭირდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილს ვადამდელი არჩევნების დანიშვნაში არწმუნებენ. რამდენად რეალურია ვადამდელი არჩევნები?

– ძალიან ცოტა დროა დარჩენილი. ვადამდელი არჩევნები ინიშნება მაშინ, როდესაც ხელისუფლებას აქვს კრიზისი. ამ დროს ხშირ შემთხვევაში ვადამდელი არჩევნები გამოსავალია. თქვენ გახსოვთ, თავის დროზე როგორ დანიშნა მიხეილ სააკაშვილმა ვადამდელი არჩევნები და როგორ გადააგორა კრიზისი.

მე ვერ გეტყვით, ახლა ივანიშვილი რამდენად წავა ამაზე, თან ვინ არწმუნებს ამაში, ესეც საინტერესოა.

– რამდენიმე დღის წინ დავით ჭიჭინაძემ ინტერვიუში მითხრა, რომ ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია. თავის დროზე ამ განცხადების გამო გაუშვეს ის „ოცნებიდან“.

– დიახ, დავით ჭიჭინაძე იყო ერთადერთი დეპუტატი უმრავლესობაში, რომლის განცხადებაც ვადამდელ არჩევნებზე საუბრით იწყებოდა და მთავრდებოდა. მაშინ ბევრს ეგონა, რომ ივანიშვილს ახმოვანებდა, მაგრამ მერე გაირკვა, რომ სულაც არა.

ისე, თუ ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს „ქართული ოცნება“, ძალიან ბევრს მოიგებს. ერთი, მოიგებს დროს. ოპოზიციას არ მისცემს გაერთიანების, მოლაპარაკებების დროს და მეორე, ახალ ძალებს დაასწრებს, თუ ასეთები გამოჩენას აპირებენ. თუ „ოცნება“ ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს, ეს იქნება მანევრი ერთადერთი მიზნით – თვითგადარჩენისთვის.

– ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ კოალიციური მთავრობა გარდაუვალია. რამდენად რეალურია, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კოალიციური მთავრობა მივიღოთ?

– ბიძინა ივანიშვილმა შეცურა იმ მდინარეში, რომლის შესახებ წარმოდგენაც არ აქვს. უცნობ მდინარეში შესვლა კი, მოგეხსენებათ, როგორი სარისკოა, მით უფრო, თუ ცურვა არ იცი. ბიზნესი, ქველმოქმედება, კი ბატონო, მაგრამ პოლიტიკა ამ კაცის საქმე არ არის. ახლა მეტყვიან, კი მაგრამ, 2012 წელს როგორ გაიმარჯვა, თუ პოლიტიკა არ ესმისო? მათ გასაგონად ვამბობ: 2012 წელს სულ სხვა რეალობა იყო და ის ხელისუფლება განწირული იყო დამარცხებისთვის. ეს იცოდა ყველამ შინ თუ გარეთ. ეს იყო გარდაუვალი აუცილებლობა, ის ხელისუფლება უნდა წასულიყო.

დღეს სახეზეა უმაღლესი დონის არაკომპეტენტურობა. შეუძლებელია, ყველა პოლიტიკოსი იყოს. ეს მხოლოდ საქართველოში ხდება ასე. თვალსა და ხელს შუა გუნდი ეშლება. რაც არ უნდა გვითხრან და დაგვამშვიდონ – წამსვლელები მიდიან, რეალურად პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებლებისგან იცლება.

ხომ საინტერესოა, ვინ რჩება? ძირითადად რჩება ის ხალხი, ვინც 2016 წლის საარჩევნო სიით არის მოსული. მაშინ კი კვირიკაშვილი იყო. რა გამოდის, ივანიშვილი კვირიკაშვილის ხალხის იმედადღა რჩება?! არადა, ვიცით, რომ კვირიკაშვილს არ ენდობა. ძველი მრჩევლებიც კი აღარ დარჩა.

კოალიციური მთავრობა იქნებოდა არსებული რეალობის ერთადერთი ლოგიკური დასასრული, მაგრამ ჩვენთან ხომ ყველაფერი პირიქით ხდება. ამიტომ, მე სულ არ გამოვრიცხავ, რომ შედგეს არა პოსტსაარჩევნო კოალიცია, არჩევნების შედეგად მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, არამედ მანამდე მოილაპარაკოს ივანიშვილმა რამდენიმე პატარა პარტიასთან და ისინი გაიყვანოს და მათთან შექმნას შემდეგ კოალიცია, რომ შემდეგ მთავრობა დააკომპლექტოს და პოლიტიკური კრიზისი აიცილოს თავიდან.



„ივანიშვილმა შეცურა იმ მდინარეში, რომლის შესახებ წარმოდგენაც არ აქვს“

– სატელიტ პარტიებს შექმნის?

– რა თქმა უნდა. ეს ახალი ამბავი არ არის პოლიტიკაში. ასეთი რამეები ხდება.

– გარეთ დარჩენილი ოპოზიცია ამას რამდენად შეეგუება?

– აი, ეს არის საქმე. მე აქ ვხედავ დიდ საფრთხეს, ამ ყველაფერმა შეიძლება, ძალიან საშიშ პროცესებამდე მიგვიყვანოს. ეს არასტაბილურობის მიზეზი შეიძლება გახდეს.

დღეს ისრაელში, თურქეთში, უკრაინაში ხელისუფლება მეორე პლანზე გადადის და ოპოზიცია იმარჯვებს. თურქეთში 2016 წელს ვინ წარმოიდგენდა, რომ ერდოღანი ყველა დიდ ქალაქში დამარცხდებოდა?! მაგრამ ეს მოიტანა ოპოზიციის გაერთიანებამ. მათაც არ უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ მათ გააცნობიერეს რეალური საფრთხე და, რაც მთავარია, ვიწროპარტიულ ინტერესებზე მაღლა დადგნენ. ახლა ერდოღანი სტამბოლის დათმობას ითხოვს და სტამბოლის გარკვეულ საარჩევნო უბნების გადათვლა ხდება, სასამართლოში ჩივის, რომ როგორმე სტამბოლი დაიბრუნოს.

ისრაელში კოალიციური მთავრობა ჩამოყალიბდება. ეს არ არის მარტივი პროცესი. ძალიან რთულია, მაგრამ ერთადერთი გამოსავალი შეიძლება ეს იყოს.

– ივანიშვილი გარკვეული მინისტრებით კმაყოფილი არ არის. ვილაცებს გაუშვებს?

– არ გამოვრიცხავ, მაგრამ, რაც მენიშნა, იყო ის, რომ, როგორც ჩანს, ივანიშვილს თავისი მინისტრების სჯერა. მან გაიმეორა ეკონომიკის მინისტრ ქობულიას ფორმულა: „ხალხი კარგად ცხოვრობს, მაგრამ შეგრძნება აქვს, რომ ცუდად ცხოვრობს“.

აღმოჩნდა, რომ ასე მხოლოდ ქობულია კი არ ფიქრობს, ასე ფიქრობს ივანიშვილიც ან დააჯერეს, რომ ასეა. ხელისუფლის მთავარი პრობლემა ხალხისგან მოწყვეტაა. ეს არ არის მხოლოდ ივანიშვილის პრობლემა. ეს ბევრი მასზე ჭკვიანი ხელისუფლის პრობლემა იყო.

– შუალედურ არჩევნებზე მინდა გკითხოთ. ბევრი მიიჩნევს, რომ მთაწმინდაზე შალვა შავგულიძე სერიოზულ კონკურენტად მიაჩნია ხელისუფლებას და ამიტომ დაესხა ივანიშვილი თავს.

– მთაწმინდის წაგება არ არის სვანეთის უბნის წაგება. მთაწმინდას საქართველოში სიმბოლური დატვირთვა აქვს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქვეყნის გულია. აქ ხელისუფლებამ არჩევნები რომ წააგოს, ეს, იცით, რას ნიშნავს? ჩათვალეთ, რომ ხელისუფლება წელშია გადატეხილი.

კი ვამბობ, რომ ივანიშვილი პოლიტიკოსი არ არის, მაგრამ ამდენი კი ესმის, თუ რას ნიშნავს პოლიტიკურად მთაწმინდის წაგება. ძალიან გაუჭირდებათ. არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს ლადო კახაძესთან, პირიქით, კარგი კაცია, მაგრამ მისი კანდიდატურის დაყენებით ბევრად უფრო ნათელი გახდა, რომ „ოცნებას“ სერიოზული საკადრო შიმშილი აქვს. „ქართული ოცნების“ სათადარიგოთა სკამი ძალიან მოკლეა.

შუალედური არჩევნები იქნება ტესტი ყველასთვის. ტესტი იქნება, ერთი მხრივ, ხელისუფლებისთვის და, მეორე მხრივ – ოპოზიციისთვის.

ასევე, შუალედური არჩევნები ჩვენთვის კარგი სახელმძღვანელო იქნება. თუ 19 მაისის არჩევნები ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის მსგავსად, მაშინ ყველაფერი გასაგები იქნება. გასაგები იქნება, თუ რა სტილში აპირებს ხელისუფლება 2020 წელს საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას.

მაშინ ასევე გასაგები იქნება, თუ რისი იმედი აქვს ივანიშვილს, როდესაც გვითხრა, 2020 წლის არჩევნები არაფერი არ არის, გავიმარჯვებთ, მთავარია, კინოს მივხედოთო.

გიორგი კეპულაძე: „კერძო მევახშეები სესხებს უფრო მარტივად და ძვირად გასცემენ“

– ბიზნესსექტორი ცდილობს, მოგების მაქსიმიზაციას მიაღწიოს არსებული რეგულაციების პირობებში, ტექნიკის მაღაზიებმა შიდა განვადებები დაიწყეს, სექტორი აქტიურად ცდილობს, გამოიყენოს კანონმდებლობაში არსებული ხვრელები, – განაცხადა ილიაუნის ბიზნესის სკოლის ფინანსური განათლების ცენტრის დირექტორმა გიორგი კეპულაძემ რადიო კომერსანტის გადაცემაში „პროფესიონალები“.

მისი თქმით, ჭარბვალიანობა ქვეყანაში არსებულმა მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ გამოიწვია.

– ჭარბვალიანობის პრობლემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია სიღარიბე. შესაბამისად, მთავრობისა და მარეგულირებლის მხრიდან არსებული ყველა ქმედება მიმართულია სიღარიბის დაძლევისკენ. ჭარბვალიანობა ჩნდება მაშინ, როცა ადამიანს აქვს პარალელურად რამდენიმე სესხი, ან ერთი სესხი, რომელიც შემოსავალზე 50-60%-ით მეტია.

სიღარიბის გარდა, ერთ-ერთი რის გამოც ბევრ მოქალაქეს შეეხო ვალის პრობლემა, იყო ონლაინკომპანიები, რომლებიც რეგულაციების გარეშე საქმიანობდნენ. მათგან სესხს იღებდნენ ის მოქალაქეები, რომლებიც ბანკში ვეღარ იხდიდნენ კრედიტს. თითქმის ყოველ მეორე მოქალაქეს ჰქონდა 300-ლარიანი სესხი, რომელსაც თუ ვერ გადაიხდიდა, 2 ათასი ლარის გადახდა უწევდათ.

იმ პერიოდში რეგულაციების მიღება უფრო მეტად იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, ვიდრე ეკონომიკური. მათ ბევრი ისეთი ამომრჩეველი დაუგროვდათ, ვისაც არაერთი საფინანსო ინსტიტუტის ვალი ჰქონდა.

ძალიან ცოტა დროა გასული საბანკო რეგულაციებიდან, რომ ჩვენ ან რიცხვები, ან ეკონომიკური ეფექტი შევაფასოთ, თუმცა ეროვნული ბანკი თავის დროზეც და ახლაც აღიარებს, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში რეგულაციები ეკონომიკის 1%-იან შემცირებას გამოიწვევს. ისინი ასევე ფიქრობენ იმასაც, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მიღებულ რეგულაციებს დადებითი ეფექტი ექნებათ.

დღეს კი ბიზნესის ის სექტორი, რომელიც საკუთარ პროდუქციას ყიდდა განვადებით, სამშენებლო ბიზნესი, ტექნიკის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის რეალიზაციის წარმომადგენლები წუწუნებენ. ყველა მიმართულებას გაუჭირდა. ყველგან განსხვავებულია გაყიდვების შემცირების პროცენტი. კარგია ის, რომ ონლაინ საკრედიტო კომპანიები აღარ არსებობს თითქმის ბაზარზე, ამან შეამსუბუქა იმ ადამიანების მდგომარეობა, რომლებიც მომავალში აიღებდნენ კიდევ სესხს, – განაცხადა კეპულაძემ.

პირველ ეტაპზე რეგულაციებმა უარყოფითი შედეგი აჩვენა.

– რეგულაციებმა მოკლევადიან პერსპექტივაში უარყოფითი ზეგავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე, გრძელვადიანი ეფექტი კი, კაცმა არ იცის, იქნება თუ არა. შეიძლება, იმდენად მძიმე იყოს მოკლევადიან პერსპექტივაში არსებული შედეგები, რომ სამომავლო დადებითი ეფექტების მიღებასაც კი შეუშალოს ხელი.

პარალელურად, ბიზნესსექტორი ცდილობს, მოგების მაქსიმიზაციას მიაღწიოს არსებული რეგულაციების პირობებში, ტექნიკის მაღაზიებმა შიდა განვადებები დაიწყეს და სექტორი აქტიურად ცდილობს, გამოიყენოს კანონმდებლობაში არსებული ხვრელები.

ვხედავთ კერძო მევახშეების გააქტიურების ნიშნებს, ისინი უფრო მარტივად და ძვირად გასცემენ სესხებს. ეს სეგმენტი სახელმწიფოს მხრიდან დაურეგულირებელია. ერთადერთი რეგულაცია ისაა, რომ კონკრეტული რაოდენობის სესხის გაცემის შემდეგ სავალდებულო ხდება ნოტარიუსის ჩართულობა.

სახელმწიფოს ინიციატივა 500-ათასიან ბრუნვაზე 1%-ის გადახდის თაობაზე ძალიან კარგია, რადგან ძალიან დაბალი გადასახადია. თუმცა ერთადერთი პლუსი ამ გადაწყვეტილების ისაა, რომ ადამიანები შეძლებენ საბანკო სესხის აღებას, მაგრამ საზოგადოებაში სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობა არ არსებობს და არავინ იცის, დღეს რომ 1%-ია, ხვალ 5% ან 10% არ გახდება.

ფინანსთა სამინისტრომ უნდა გამოაქვეყნოს სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რამდენი თვითდასაქმებული დარეგისტრირდა ინდივიდუალურ მეწარმედ, ამან თუ მოიტანა რაიმე სარგებელი სახელმწიფოსთვის. არ ვარ დარწმუნებული, რომ სათანადო კომუნიკაცია მოხდა მოსახლეობასთან რეგულაციების გატარების პროცესში.

რეგულაციების მიუხედავად, ფულზე მოთხოვნა კვლავ არსებობს, არ გამქრალა და მოთხოვნის პარალელურად მევახშეების მიერ, კანონში არსებული ხვრელების პოვნით, ფული მაინც მიეწოდება საზოგადოებას. ვშიშობ, რომ მოკლევადიანი უარყოფითი ეფექტები იმდენად მძიმე არ იყოს, რომ ბუნდოვანი არ გახდეს გრძელვადიან პერსპექტივაში დახატული ნათელი მომავალი, – ამბობს გიორგი კეპულაძე.

რას ვყიდულობთ და ვყიდით თურქეთში

2019 წლის იანვარ-თებერვალში 10 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 69.7 პროცენტი შეადგინა.

უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია თურქეთი 233.6 მლნ დოლარით, რუსეთი 203.6 მლნ დოლარით და აზერბაიჯანი – 184.4 მლნ დოლარით.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ ტოპ-5 პროდუქტს, რომელსაც ყველაზე დიდი რაოდენობით ვყიდით თურქეთში და ასევე, რომელიც იქიდან შემოგვაქვს.

2019 წლის იანვარ-თებერვალში, საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფი სპილენძის მადნები და კონცენტრატები იყო, რომლის ექსპორტმაც 7.1 მლნ დოლარი შეადგინა.

მას მოსდევს ნახევარფაბრიკატები ნახშირბადიანი ფოლადისაგან 7 მლნ დოლარით, მე-3 ადგილზე გავიდა ტრიკოტაჟის ნაწარმი, რომლის ექსპორტიც 5.4 მლნ დოლარი იყო, მე-4 ადგილზეა ფეროშენადნობები 2.8 მლნ დოლარით, მე-5 ადგილზე კი 1.9 მლნ დოლარით კოსტიუმები, კომპლექტები, მამაკაცის ნაქსოვი ტრიკოტაჟი გავიდა.

რაც შეეხება თურქეთიდან იმპორტს, 2019 წლის იანვარ-თებერვალში უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფი დაფასოებული მედიკამენტები იყო, რომლის იმპორტმაც 10.1 მლნ დოლარი შეადგინა.

მას მოსდევს 6.1 მლნ დოლარით მზა ნაწარმი სხვა, ტანსაცმლის თარგების ჩათვლით, მე-3 ადგილზე კი შავი ლითონების კონსტრუქციები გავიდა, რომლის იმპორტმაც 6.1 მლნ დოლარი შეადგინა.

მე-4 ადგილზეა შავი ლითონების მილები, მილაკები და ღრუ პროფილები 5.8 მლნ დოლარით და ხუთეულს ასრულებს რეზინის ახალი პნევმატური საღტეები და საბურავები 4.9 მლნ დოლარით.

მსოფლიო ბაზარზე ვერცხლის ფასი მცირდება

როგორია ფასები საქართველოში

მსოფლიო ბაზარზე, ოქროს მსგავსად, ვერცხლის ფასიც შემცირდა.

კერძოდ, 2019 წლის აპრილში 1 უნცია ვერცხლის ღირებულება 15,04 დოლარს, ხოლო 1კგ-ს – 483,4 დოლარს შეადგენს. მაშინ როდესაც 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში 1 უნცია ვერცხლი 17,1 დოლარი, ხოლო 1 კგ 550,5 დოლარი ღირდა.

რაც შეეხება საქართველოს ფასებს, მოვაჭრეები „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებენ, რომ 2019 წლის აპრილში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 1 კგ ვერცხლის ღირებულება საშუალოდ 10 ლარით გაძვირდა. ახლა 1 გრამი ვერცხლი 1,20-1,30 ლარი ღირს.

– ვერცხლის ფასი, წინა წელთან შედარებით, გაძვირებულია, ისევე როგორც ოქრო. 1 გრამი 1,30 ლარამდე ღირს. თუმცა, ეს რა გასაკვირია, ყველაფერი ძვირდება,– აცხადებს ერთ-ერთი მოვაჭრე „ოქროს ბირჟიდან“.

დილერები ვერცხლის გაძვირების მიზეზად მომწოდებელი ქვეყნების მხრიდან პროდუქტზე ფასის მატებას ასახელებენ.

– ოქროზე კარგად იყიდება, მაგრამ ფასები ვერცხლზეც მომატებულია. 1 კილოგრამი დაახლოებით 10 ლარით გაძვირდა. ახლა 1 გრამი ვერცხლი 1,20-1,30 ღირს. გააჩნია ხარისხს. მიზეზია მომწოდებელი ქვეყნების მხრიდან პროდუქტის გაძვირება, – ამბობს ერთ-ერთი მოვაჭრე „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას.

ზეკარის უღელტეხილზე ტურისტული სივრცე მოეწყობა

ზეკარის უღელტეხილზე პოლონური ინვესტიციით თანამედროვე ტურისტული სივრცის მოწყობა იგეგმება.

პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „პრომოუშენ ჯორჯიას“ ხელმძღვანელი კონსტანტინე ნაჭყებია ბიემჯისთან საუბრისას ყვება, რომ პროექტში რამდენიმე კომპანიაა ჩართული, რომლებიც ტურიზმის სექტორში მოღვაწეობენ.

– დიდი ხანია, ტურიზმის სფეროში ვართ. ამ პროექტის იდეა სამეგობროში გაჩნდა, როდესაც ვმსჯელობდით, როგორ უნდა გამხდარიყო იმერეთი ტურისტებისთვის ოთხივე სეზონზე მიმზიდველი.

ეს ძალიან გამოაცოცხლებს რეგიონს. თავდაპირველად სპეციალისტებთან ერთად ბევრი ადგილი მოვინახულეთ, კვლევები ჩავატარეთ, ჩვენი ერთ-ერთი პარტნიორი კომპანია ბუნებაში, მიუდგომელ ადგილას, პროექტების განხორციელებითაა დაკავებული და ისეთ ქვეყნებში აქვს გამოცდილება მიღებული, როგორებიცაა: ნორვეგია, ფინეთი, პოლონეთი.

დაახლოებით 120.000 ლარამდე უკვე დახარჯულია 3 დე მაკეტებში, ურბანულ დაგეგმარებაში, ანალიზში. რაც შეეხება ინვესტიციის მოზიდვას, პრეზენტაცია გავმართეთ ვარშავაში და კერძო პირები დაინტერესდნენ. 4-5 წელიწადში 5 მილიონ ლარზეა საუბარი, – განაცხადა ნაჭყებიამ.

პროექტის თაობაზე ბაღდათისა და იმერეთის მუნიციპალიტეტს უკვე მიმართეს და ამინდების გაუმჯობესების შემდეგ მათი წარმომადგენლები აზომვით ნახაზებს დაამუშავებენ.

თავდაპირველად სატესტო რეჟიმში ერთი ან ორი კოტეჯი განთავსდება და შემდეგ პროექტის სრულად განხორციელება დაიწყება.

2019 წლის ბოლომდე 11 ჰესის ექსპლუატაციაში შეყვანა იგეგმება

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წლის ბოლომდე 11 ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შეყვანა იგეგმება, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 92 მგვტ-ია.

გარდა ამისა, სამინისტროს მიერ ბიემჯისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისთვის სულ ამ ეტაპზე, 116 მემორანდუმია გაფორმებული. მათი სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 1.927 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება – 9093 მლნ.კვტ.სთ, ინვესტიცია კი – $2,97 მილიარდი.

აღნიშნული 116 მემორანდუმიდან, სამინისტროს ცნობით, 67 პროექტი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა, 24 პროექტი – მშენებლობა-ლიცენზირების, 25 კი – მშენებლობის ეტაპზე.

საქართველოში ადგილწარმოშობის ღვინოების 30% გურჯაანში მოდის

– საქართველოში ადგილწარმოშობის ღვინოების 30% გურჯაანში მოდის.

ამის შესახებ ბიემჯის გურჯაანის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით სონღულაშვილმა განუცხადა.

როგორც სონღულაშვილმა აღნიშნა, საქართველოში ჯამში, 18 ადგილწარმოშობის ღვინო იყო, ხოლო ცოტა ხნის წინ, მე-19 – ხაშმი დაემატა. მისივე თქმით, 19-დან 14 ადგილწარმოშობის ღვინო კახეთშია, ხოლო აქედან 6 გურჯაანში მოდის.

– ადგილწარმოშობის ღვინის განვითარება მნიშვნელოვანია, რადგან ეს მის წარმოებას შეუწყობს ხელს. ადგილწარმოშობის ღვინის განვითარება ფრანგული და იტალიური მოდელია, რაც მისაღებია. ადგილწარმოშობის ღვინით მის ხარისხსა და სპეციფიკურობას ესმევა ხაზი, – განაცხადა სონღულაშვილმა.

ღვინის ხარისხის და წარმოების განვითარებაზე საუბრისას გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი ქვეყანაში მცირე მარნების განვითარებაზეც საუბრობს.

დავით სონღულაშვილის განმარტებით, მცირე მარნების საშუალებით უმჯობესდება, როგორც ღვინის ხარისხი, ასევე მეღვინეს შესაძლებლობა ეძლევა, პროდუქციის რეალიზაცია მარტივად შეძლოს.

– სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაში მცირე მარნების საკითხი გათვალისწინებულია. კერძოდ, მისი მხარდაჭერის პროგრამა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან გაგრძელდება, რადგან მცირე მარნების განვითარებით სეგმენტი უფრო მაღალ, ახალ პოზიციაზე ავიდეს, – განაცხადა სონღულაშვილმა.

22 წლის გევო სარქისიანს 19 ჭრილობა დანით მიაყენეს, მომაკვდავი კი ჩაქოლეს. ოჯახი დამნაშავეების დასჯას ითხოვს

22 წლის გევო სარქისიანს 19 ჭრილობა მიაყენეს და მომაკვდავი ქვებით ჩაქოლეს. 10 თვეა, ახალგაზრდის ოჯახი საქმის გამოძიებასა და დამნაშავეების დასჯას ითხოვს.

ახალგაზრდის ბებია, 80 წლის მანუშაკ სარქისიანი, ამბობს, რომ შვილიშვილი სახლიდან 20 მეტრში სადისტურად მოუკლეს.

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გევო სარქისიანს 19 ჭრილობა სხეულზე 3 სხვადასხვა დანით მიაყენეს, 32 დაზიანება კი – ბლაგვი საგნით.

გამოძიების ინფორმაციით, ჩხუბში 12 ახალგაზრდა მონაწილეობდა, სარქისიანი კი მარტო იყო. ის ჯერ დაჭრეს, შემდეგ კი ჩაქოლეს.

სასტიკი დანაშაულის ერთადერთი ნეიტრალური თვითმხილველი სარქისიანების მეზობელი გახდა. მოწმე ლიანა ზალინიანი იხსენებს, რომ თავდაპირველად სარქისიანს 3 პირი ელაპარაკებოდა, რამდენიმე წამში კი ის, სისხლიანი, ასფალტზე დავარდა და შველას ითხოვდა. პარალელურად კი ჩხუბის მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა და უკვე დაჭრილ სარქისიანს 12-მდე ახალგაზრდა სცემდა, მათ შორის ქვებით.

ამ ჩვენების მიუხედავად, სამართალდამცველები თავდაპირველად ოჯახს უმტკიცებდნენ, რომ 19 ჭრილობა და 32 დაზიანება მოკლულს ერთმა ადამიანმა მიაყენა. შესაბამისად, პროკურატურამ სარქისიანის მკვლელობისთვის ბრალი მხოლოდ ერთ პირს – ერიკ მხითარიანს წარუდგინა მაშინ, როდესაც ერიკ მხითარიანს ქვეყანა უკვე დატოვებული ჰქონდა.

ბრალდებულზე ძებნა პროკურატურამ მკვლელობიდან მერვე დღეს გამოაცხადა.

ერიკ მხითარიანმა, რომელიც, წესით, გამოძიების მთავარი ობიექტი უნდა გამხდარიყო, მკვლელობის ადგილი დატოვა, სახლში ელიას მთაზე მივიდა, შემდეგ წალენჯიხაში ჩასვლა და იქ ღამის გათევა, მოგვიანებით კი ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვლა მოახერხა.

სასტიკი მკვლელობის საქმე თავდაყირა ლევან სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნამ დააყენა. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მკვლელობის დროს 2 დანა და 1 ბასრი საგანი იყო გამოყენებული.

მკვლელობიდან 7 თვეში გამოძიებამ ბრალი ერიკ მხითარიანის ძმას – სტეფანე მხითარიანს და მათ მეგობარს – რაჩიკ კარაპეტიანს, წარუდგინა.

დაცვის მხარე ამტკიცებს, რომ ერთადერთი მტკიცებულება მათ წინააღმდეგ პროკურატურის ზეწოლის შედეგად მოწმეების შეცვლილი ჩვენებებია. გამოძიებას არც დანაშაულის იარაღი აქვს და არც რაიმე სხვა მტკიცებულება.

სტეფანე მხითარიანისა და რაჩიკ კარაპეტიანის ადვოკატები ადასტურებენ, რომ მკვლელობის დროს ორივე ბრალდებული შემთხვევის ადგილზე გარჩევაში მონაწილეობდა, თუმცა, მათ დანა არ გამოუყენებიათ.

მოკლული ახალგაზრდას ოჯახი დარწმუნებულია, რომ 22 წლის გევო სარქისიანი დაკავებულებმა მოკლეს. თუმცა, პროკურატურის მიერ არასაკმარისი მტკიცებულებისა და არასწორად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების გამო შიშობენ, რომ მათთვის ბრალის დამტკიცებას საგამოძიებო უწყება ვერ მოახერხებს.

დაისჯება თუ არა ვინმე 22 წლის გევო სარქისიანის სადისტური მკვლელობის საქმეზე? გადაწყვეტილება მოსამართლე შორენა გუნცაძემ 23 აპრილს უნდა მიიღოს.

პროცესს გევოს 80 წლის ბებიაც დაესწრება, რომელიც განაჩენის მოლოდინშია.

შსს-მ ნარკოტიკების ინტერნეტით რეალიზაციის სქემა გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივებმა, დიდი ოდენობით ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების მცდელობის ბრალდებით, თბილისში დანაშაულებრივი დაჯგუფების 2 წევრი – 1975 წელს დაბადებული ა.ზ. და 1998 წელს დაბადებული გ.ჯ. დააკავეს. დანაშაული 7-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სამართალდამცველების მიერ ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ ა.ზ. ორგანიზებას უწევდა დანაშაულებრივ ჯგუფს, რომლის წევრებიც მისსავე დროებით საცხოვრებელ ბინაში სარეალიზაციოდ ამზადებდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს, კერძოდ, აფასოებდნენ და შემდგომ სპეციალურად შერჩეულ ლოკაციებზე, სამალავებში ათავსებდნენ.

„დაჯგუფების წევრები აღნიშნული სამალავების მისამართებს ნარკოტიკული საშუალებების შეძენის მსურველ პირებს ატყობინებდნენ, რაშიც თანხას დისტანციური არხებით იღებდნენ.

სამართალდამცველებმა, საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში ჩატარებული ა.ზ.-ს საცხოვრებელი ბინის და ამავე ბინაში მყოფი 6 პირის პირადი ჩხრეკისას დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები: „ემბაუმი“, „ექსტაზი“, „ჰაშიში“ და „ბიო“ ამოიღეს.

პოლიციამ თბილისში ერთ-ერთი ბრალდებულის მიერ მითითებული სამალავებიდან სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული საშუალებები ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ორივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

მხილებული არიან დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებიც.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, ასევე, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობის ფაქტებზე, სისხლის სამართლის კოდექსის 19-260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ქრთამის აღების ფაქტზე მებაჟე დააკავეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მებაჟე ოფიცერი გია გ. დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სუს-ის პრესსამსახურიდან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ გია გ. საქართველოს მოქალაქეს დაჰპირდა, რომ თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, სარფის საბაჟო პუნქტის გავლით, თურქეთიდან საქართველოში არადეკლარირებული საქონლის მალულად შემოტანაში დაეხმარებოდა. კერძოდ, იგი არ დააფიქსირებდა არადეკლარირებულ საქონელს, რომელიც ავტომანქანაში მალულად იქნებოდა განთავსებული, რის სანაცვლოდაც აღნიშნულ მოქალაქეს ქრთამის სახით ეტაპობრივად 5.000 ლარი გამოართვა.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

„ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატ დავით მდინარაძის საავადმყოფოს ეზოში მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო

ოზურგეთის ბავშვთა საავადმყოფოს ეზოში მომხდარი თვითმკვლელობის ფაქტზე პოლიციამ გამოძიება დაიწყო.

პოლიციამ საავადმყოფოს დირექტორი, „ოცნებიდან“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, დავით მდინარაძე დაკითხა.

როგორც „გურიის მოამბისთვის“ ხდება ცნობილი, საშუალო ასაკის მამაკაცი, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ოზურგეთში მცხოვრები სომეხი ეროვნებისაა.

ჯერჯერობით დაუდასტურებელი ინფორმაციით, ის საავადმყოფოში სარემონტო სამუშაოებს ასრულებდა და ოჯახში მძიმე ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა.

თუ რა გახდა თვითმკვლელობის მიზეზი, ამ ეტაპზე ცნობილი არ არის.

„ხინკლის სახლს“ რუსთაველზე ცეცხლი გაუჩნდა

გუშინ, 14 აპრილს, რუსთაველის გამზირზე რესტორან „ხინკლის სახლს“ ცეცხლი გაუჩნდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განუცხადეს, ცეცხლი 20 კვმ ფართობზე, სამზარეულოში გაჩნდა.

ადგილზე 8 სახანძრო-სამაშველო ბრიგადა მუშაობდა, რომლებიც ცეცხლის ლიკვიდირების სამუშაოებს ინტენსიურ რეჟიმში ატარებდნენ.

შენობიდან სრულად ევაკუირებულ იქნენ როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მომხმარებლები.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ბათუმში 4 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ძალადობისა და ოჯახური ძალადობის ბრალდებით, 4 პირი: 1964 წელს დაბადებული ს.ჯ., 1986 წელს დაბადებული პ.ა., 1984 წელს დაბადებული ს.პ. და 1984 წელს დაბადებული გ.გ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ 1984 წელს დაბადებულმა გ.გ.-მ მიმდინარე წლის აპრილში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მამას – 1959 წელს დაბადებულ ზ.გ.-ს და მისი კუთვნილი ავტომანქანა დააზიანა.

ასევე, ძალადობის ბრალდებით დააკავეს სამართალდამცველებმა 1964 წელს დაბადებული, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ს.ჯ. ბრალდებულმა თავის მფლობელობაში არსებულ სილამაზის სალონში ერთ-ერთ კლიენტს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

რაც შეეხება პ.ა.-ს და ს.პ.-ს, პოლიციამ აღნიშნული პირები მეგობარი ქალებისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებზე დააკავა.

გამოძიება ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და სხვისი ნივთის დაზიანება-განადგურების ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილითა და 11 პრიმა 187-ე მუხლით მიმდინარეობს.

გურიაში უცნობმა პირებმა ფერმერის სახლი დაცხრილეს

გურიაში უცნობმა პირებმა ერთ-ერთი ფერმერის, თემურ ქამადაძის სახლი დაცხრილეს.

შემთხვევა სოფელ ხვარბეთში 13 აპრილს, გვიან ღამით მოხდა.

ინციდენტის დროს ქამადაძე სახლში მარტო იმყოფებოდა.

წინასწარი ინფორმაციით, საცხოვრებელ სახლს სანადირო თოფიდან რამდენიმე ტყვია მოხვდა. დაზარალებული მომხდარს მის მიერ ადგილობრივ მედიაში გაკეთებულ განცხადებებს უკავშირებს სადაც ის, ორი წლის წინ მომხდარი ძარცვის გამოუძიებლობას აპროტესტებდა და ოზურგეთის პოლიციის წინ საპროტესტო აქციას აანონსებდა.

თემურ ქამადაძე აცხადებდა, რომ ქვეყანა ჩალით არის დახურული და სიმბოლურად, პოლიციის შენობასთან ჩალის მიტანას გეგმავდა.

ინციდენტთან დაკავშირებით, გამოძიება უკვე დაწყებულია, სამართალდამცველების ინფორმაციით, ქამადაძე გამოძიებასთან თანამშრომლობს.

მარნეულში ავტომობილი ქვეითს დაეჯახა

მარნეულის სოფელ თეზეკენთში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ორი ადამიანი დაშავდა. მანქანა ქვეითს დაეჯახა.

ავარიის დროს ქვეითს ფეხი მოეკვეთა. მისი მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე 276-ე მუხლით აღიძრა, რაც ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ზელენსკი პოროშენკოსთან სტადიონ „ოლიმპიისკზე“ დებატებზე არ მივიდა

უკრაინის საპრეზიდენტო კანდიდატი ვლადიმერ ზელენსკი კიევში, „ოლიმპიისკის“ სტადიონზე პეტრო პოროშენკოსთან დებატებზე არ მივიდა. მოქმედმა პრეზიდენტმა ზელენსკი ამჯერად 15 აპრილს ერთ-ერთ უკრაინულ ტელეარხზე დებატებისთვის მიიწვია, სადაც თავად არის დაპატიჟებული.

ამის შესახებ პოროშენკომ ჟურნალისტებს „ოლიმპიისკის“ ერთ-ერთ დარბაზში განუცხადა.

– თუკი ხვალაც ვერ შეძლებთ, ზეგაც დაგპატიჟებთ დებატებზე. შესაძლებლობა გექნებათ, თავი კი არ აარიდოთ, არამედ მოხვიდეთ და უთხრათ უკრაინის მოქალაქეებს თქვენი გეგმების შესახებ, – მიმართა პოროშენკომ საპრეზიდენტო კანდიდატს.

ვლადიმერ ზელენსკიმ მოქმედ პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს დებატების გამართვა „ოლიმპიისკის“ სტადიონზე 3 აპრილს თავად შესთავაზა.

კიმ ჩენ ინი ტრამპთან შესახვედრად მზად არის

ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი კიმ ჩენ ინი ტრამპთან შეხვედრისთვის მზად არის.

– მე მზად ვარ, რომ ამერიკის პრეზიდენტს შევხვდე წლის ბოლომდე, – თქვა მან.

ამავე დროს, კიმმა ანტიამერიკული გამოხდომებისაგან თავი ვერ შეიკავა. ერთი მხრივ, მან ბირთვული განიარაღებისთვის მზადყოფნა გამოთქვა, მეორე მხრივ, ამერიკელები დიქტატში დაადანაშაულა.

– აშშ-ს მოვუწოდებ, რომ დიქტატზე უარი თქვას, რაც ამერიკული დიპლომატიის სტილია, – თქვა მან.

ლუკაშენკო: „რუსეთი გათავხედდა!“

ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ რუსეთმა მის ქვეყანას სანქციები დაუწესა. ბელორუსის პროდუქციისთვის რუსული ბაზარი იკეტება, რაც დაუშვებელია.

– რუსეთი გათავხედდა, – თქვა ლუკაშენკომ.

ბელორუსის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ თუ ასე გაგრძელდა, ბელორუსი იძულებული იქნება, ნავთობსადენი „დრუჟბა“ გადაკეტოს.

– „დრუჟბა“ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია! ჩვენს ვიცეპრემიერს მივეცი დავალება, რომ იქ სარემონტო სამუშაოები დაიწყონ, – განაცხადა ალექსანდრ გრიგორევიჩმა.

ამავე დროს, ბელორუსის პრეზიდენტმა ნათქვამის შერბილება ცადა. მან მიუთითა, რომ რუსეთი და ბელორუსი მოკავშირეები არიან. ბელორუსები დასავლეთის მიერ რუსეთისათვის სანქციების დაწესების წინააღმდეგნი არიან. მოსკოვმაც, მისი აზრით, ეს უნდა დააფასოს.

– დაუშვებელია, რომ შენს მოკავშირეს ბაზარი გადაუკეტო! თუ ბელორუსი უკვე რუსეთის მოკავშირე აღარ არის? – კითხულობს ლუკაშენკო.

ბელორუსის პრეზიდენტის სიტყვებმა მოსკოვი შეაშფოთა. „როსნეფტის“ თავკაცმა ტოკარევმა განაცხადა, რომ ნავთობსადენი „დრუჟბა“ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და სარემონტო სამუშაოებს არ საჭიროებს.

– თუ რემონტი აუცილებელია, ჩვენი სპეციალისტები საამისოდ მზად არიან! – ამბობს ტოკარევი.

ექსპერტ ანდრეი სუზდოლცევის აზრით, ლუკაშენკომ რუსებს დაუთმო ყველაფერი, რისი დათმობაც შეიძლებოდა. რუსულმა ენამ ბელორუსული ყველა სფეროდან განდევნა; ქვეყანა ევრაზიული კავშირის წევრი გახდა; მთელი მრეწველობა და ძალოვანი სტრუქტურები რუსების ხელთაა; ეროვნული სიმბოლიკა საბჭოთამ შეცვალა.

ახლა რუსეთმა ბელორუსის სრული ანექსია მოისურვა.

– მოსკოვ-მინსკის ურთიერთობებიც ამიტომ დაიძაბა! ეს ვლადიმერ პუტინის მიზეზით მოხდა. მას ბელორუსის რუსეთის შემადგენლობაში შეყვანა სურს, – მიიჩნევს სუზდოლცევი.

გამოსვლები სერბეთში

სერბეთის დედაქალაქ ბელგრადის ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა. ისინი პრეზიდენტ ვუჩიჩის გადადგომას მოითხოვენ.

აქციები ვუჩიჩის გადადგომის მოთხოვნით ყოველ კვირას იმართება.

ვუჩიჩს კორუფციაში, ქვეყნის ინტერესების ღალატსა და ძალაუფლების უზურპაციაში ადანაშაულებენ.

თავად ვუჩიჩი აცხადებს, რომ დახმარებისათვის პუტინს მიმართავს.

– პრეზიდენტი პუტინი და ჩვენი რუსი ძმები არ მიგვატოვებენ! რაც შეეხება ე.წ. დემონსტრაციებს, ეს ამერიკის აგენტურის მიერ არის ორგანიზებული, – ამტკიცებს ვუჩიჩი.

ისრაელმა სირიაზე ავიადარტყმები განახორციელა

ისრაელმა სირიის ცენტრალურ პროვინციაზე ავიადარტყმები განახორციელა. დანგრეულია რამდენიმე შენობა. არის მსხვერპლი.

ისრაელის პრემიერმა ნეტანიაჰუმ განაცხადა, რომ განხორციელდა დარტყმა სირიის ტერიტორიაზე განთავსებულ ირანულ ბაზებზე. ირანელ სამხედროებს შორის დიდძალი მსხვერპლია.

– სირიაში ირანის სამხედრო ბაზების არსებობას არ შევეგუებით, – ამბობს ნეტანიაჰუ.

ნეპალში თვითმფრინავი ვერტმფრენს შეეჯახა. 2 ადამიანი დაიღუპა, 5 დაშავდა

ნეპალის აღმოსავლეთში მდებარე აეროპორტში მცირე ზომის თვითმფრინავის ვერტმფრენთან შეჯახების შედეგად, სულ მცირე, 2 ადამიანი დაიღუპა, 5 კი დაშავდა.

ინციდენტი ქალაქ ლუკლას მახლობლად მოხდა, რომელიც ტურისტებისა და ალპინისტების გადაყვანის პუნქტია.

ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, ინციდენტის დროს თვითმფრინავში მგზავრები არ ყოფილან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსხვერპლის რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა.

შეჯახების მიზეზებზე არაფერია ცნობილი. პოლიცია მომხდარ ფაქტს იძიებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდმა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერები. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

კალეიდოსკოპი

სუპერმარკეტი შოკოლადის იხვების გამო რასიზმში დაადანაშაულეს



ერთ-ერთ ბრიტანულ სუპერმარკეტს შოკოლადის იხვების საადგომო ნაკრების გამო რასიზმი დასდეს ბრალად.

კანფეტების კოლოფში, რომელიც რვა ფუნტი სტერლინგი ღირს, სამი ტკბილი იხვი იდო. ისინი დამზადებული იყო თეთრი, რძისა და შავი ფერის შოკოლადისგან და გაკეთებული ჰქონდათ წარწერები: „ფუმფულა“, „ხრაშუნა“ და „მახინჯი“. მყიდველების განსაკუთრებული ყურადღება შავი ფერის იხვმა მიიპყრო წარწერით „მახინჯი“. მყიდველებმა მისი მწარმოებელი რასიზმში დაადანაშაულეს.

ამის შემდეგ სუპერმარკეტმა პროდუქტი დროებით გაყიდვიდან ამოიღო და შეფუთვის დიზაინი შეცვალა. მისმა ხელმძღვანელობამ კი მყიდველებს ბოდიში მოუხდა და განაცხადეს, რომ შოკოლადის იხვებს სახელები ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპარ „მახინჯი იხვის ჭუკის“ მიხედვით შეურჩიეს.

გოგონამ ყოფილ ბოიფრენდს ქორწილში სკანდალი მოუწყო

ჩინეთში სიძის ყოფილმა მეგობარმა გოგონამ ქორწილის ჩაშლა ცადა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლში საქორწინო კაბაში გამოწყობილი გოგონა მამაკაცის წინ მუხლებზე ეცემა და ყვირის: „ეს ჩემი შეცდომა იყო!“ ის მამაკაცს გაცოფებული პატარძლის თვალწინ ეხვეწება, რომ მას დაუბრუნდეს. გოგონა სცენაზე იმ დროს აიჭრა, როდესაც სიძე-პატარძალს ერთმანეთისთვის უნდა ეკოცნათ.

მოგვიანებით მამაკაცმა განაცხადა, რომ ყოფილ შეყვარებულს იმის გამო დაშორდა, რომ ისინი ერთმანეთს ხასიათებით ვერ შეეწყვნენ. ის არ მოელოდა, რომ გოგონა მის ქორწილში მივიდოდა და სკანდალს მოაწყობდა.

გულმავიწყმა მამაკაცმა მანქანაში ბილეთი იპოვა და გამდიდრდა

ავსტრალიელმა მამაკაცმა საკუთარ მანქანაში ერთი კვირის წინ ნაყიდი ლატარიის ბილეთი იპოვა და 142,5 ათასი დოლარის მფლობელი გახდა.

სამხრეთ ავსტრალიის ქალაქ ვირჯინიის მკვიდრმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ლატარიის ბილეთი იყიდა და საკუთარ ავტომობილში დარჩა. ერთი კვირის შემდეგ კი ის შემთხვევით დავიწყებულ ბილეთს გადააწყდა და გადაწყვიტა, გათამაშების შედეგები შეემოწმებინა.

– დღეს მაღაზიაში წასვლას ვაპირებდი, როდესაც ბილეთი შევნიშნე და ნომრები შევამოწმე. აღმოჩნდა, რომ გამარჯვებული ვიყავი, – განაცხადა იღბლიანმა ავსტრალიელმა.

მან აღიარა, რომ ლატარიის ბილეთებს კვირაში სამ-ოთხჯერ ყიდულობს. ამჯერად მან ნახა, რომ საპრიზო თანხა გაზრდილი იყო და მოგების იმედი მიეცა.

დამნაშავემ მეტისმეტი სიმსუქნის წყალობით პატიმრობა თავიდან აიცილა

ავსტრალიის ქალაქ ბრისბენის მკვიდრი პატიმრობას მეტისმეტად დიდი წონის წყალობით გადაურჩა.

კეიდ ჯონსი, რომელიც საკუთარ თავს მოჩვენებებზე მონადირეს უწოდებს, ავიაკომპანია ვირჯინ ეირლაინის თანამშრომლების არაერთხელ შეურაცხყოფის გამო სასამართლოს წინაშე წარდგა. 2010 წელს 49 წლის მამაკაცს ამ კომპანიის მომსახურება აუკრძალეს, ვინაიდან ის ურეკავდა და ემუქრებოდა კომპანიის თანამშრომლებს.

10 აპრილს კი სასამართლომ ჯონსს ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯა. მისმა ადვოკატმა რობ გლენდეინ განაცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი სიმსუქნის გამო ციხეში ვერ ჩაჯდებოდა. წარმოდგენილი სამედიცინო საბუთების თანახმად კი მამაკაცისთვის წონის შესამცირებელი ოპერაციის გაკეთება არ შეიძლება, სანამ ის წონაში 250 კილოგრამამდე არ დაიკლებს.

მამაკაცი ორი ათასი დოლარის გირაოთი გაუშვეს. მოსამართლის თქმით, თუ ჯონსი ისევ დაარღვევს კანონს, მას, მიუხედავად სიმსუქნისა, ციხეში ჩასვამენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჩიხურამ საბურთალო მსაჯიანად დაამარცხა

დინამო (თბ)-დილა 1:0

თბილისი. დინამო არენა

1:0 კარბია (33)

დინამო: პერალესი, რუხაია, მეჯუბი, მონხილი, კობოური, ნინუა (ივანისენია 84), პაპავა, ზარია (ქარდავა 74), შულაია, კარბია (შენგელია 60), კუტალია

დილა: გუგეშაშვილი, გიორბელიძე, მირცხულავა (სპანდერაშვილი 65), ჩადუნელი, ნონდი, რაზმაძე, ნონიკაშვილი (ლემპტი 75), ნჯოკუ (პაიმი 82), გოშთელიანი, დე სოუზა, გრიგალაშვილი

მატჩი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. დინამო ლიდერის წამოწევას ლამობდა და ამიტომ მოგება სჭირდებოდა, ხოლო დილას საქმე არცთუ კარგად აქვს, ცხრილის ქვედა ნაწილშია განთავსებული და ქულები ჰაერივით სჭირდება.

ამიტომაც იყო, ქართლელებმა მატჩი აქტიურად რომ დაიწყეს უკვე მე-8 წუთზე ხოსე პერალესმა ორჯერ იხსნა მასპინძელთა კარი. საპასუხოდ ნიკა ნინუას შორი მანძილიდან დარტყმულია აღსანიშნავი. ერთია, ტემპი მაღალი არ იყო, მაგრამ მშვიდ ვითარებაშიც გავიდა გოლი – 33-ე წუთზე ფრან კარბიამ ანგარიში გახსნა. ესპანელი ლეგიონერის ძლიერად დარტყმული ბურთი გორელთა კარში ძელიდან ასხლეტით გავიდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს გოლი გამარჯვების აღმოჩნდა.

არადა, მომენტები კიდევ იყო: ჯერ აკაკი შულაიას შეეძლო ანგარიშის ორამდე გაზრდა, მაგრამ დარტყმული ლუკა გუგეშაშვილმა უკუაგდო. მე-2 ტაიმის დებიუტში დინამო მწვავე კონტრშეტევა გაეპარა, რაც სახიფათო საჯარიმოთი დასრულდა. თავად დარტყმა ნონდიმ ძლიერად, მაგრამ არაზუსტად შეასრულა. მეორე ტაიმის შუაწელში შეცვლაზე შემოსული ლევან შენგელია მიჯრით ორჯერ სახიფათოდ უტევდა მეტოქეს, მაგრამ უშედეგოდ. შეხვედრის 67-ე წუთზე გიორგი ზარიამ, შეიძლება ითქვას, საგოლედ ჩააწოდა, მაგრამ ვიქტორ მონხილმა ვერ ივარგა.

73-ე წუთზე ორივე კართან 2 სახიფათო მომენტი შეიქმნა: ჯერ ხოსე პერალესმა ახლო მანძილიდან უძლიერესად დარტყმული ბურთი მოიგერია, საპასუხოდ კი აკაკი შულაიამ სანტიმეტრებში ააცილა სტუმართა კარს. ხუთიოდე წუთში ლევან შენგელიას მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებული აკაკი შულაიამ ერთი შეხებით დაარტყა, მაგრამ ისევ არაზუსტად. ბოლო წუთებზე სტუმრებმა გაიბრძოლეს, რამდენჯერ ფლანგებიდან ცადეს თამაშის ბედის შეცვლა, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო და დედაქალაქელებმა მორიგი 3 ქულა მიითვალეს.

საბურთალო-ჩიხურა 2:3

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 მახარობლიძე (8), 1:1 როლოვიჩი (10), 1:2 დეკანოიძე (27), 1:3 მახარობლიძე (45), 2:3 დიასამიძე (55)

საბურთალო: მიგინეიშვილი, მალი, მარგველაშვილი, ნადარაია (ლაკვეხელიანი 46), ცნობილაძე (აღთუნაშვილი 46), კაკუბავა, შინდაგორიძე, დიასამიძე, გორგიაშვილი (დვალიშვილი 46), კოხრეიძე, როლოვიჩი

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მაისაშვილი, კორიფაძე, ჩიკვაიძე, მამასახლისი, მახარობლიძე (კამლაძე 78), ლექთაძე, სარდალიშვილი, ჩიხლაძე (ერგემლიძე 69), დეკანოიძე

საბურთალომ მნიშვნელოვანი მატჩი წააგო და გათამაშების ცხრილში სიტუაცია დაძაბა. დედაქალაქელები უახლოეს მდევრებს 5 ქულით უსწრებდნენ, მაგრამ ჩიხურასთან მარცხი შემდეგ უპირატესობა მხოლოდ 2 ქულა დარჩა.

ანგარიში შეხვედრაში ბიძინა მახარობლიძემ მე-8 წუთზე გახსნა. საბურთალოელებმა წონასწორობა 2 წუთში როლოვიჩის გოლით აღადგინეს. 27-ე წუთზე ბესო დეკანოიძემ სტუმრები ისევ წინ გაიტანა, პირველი ტაიმის კომპენსირებულ დროში კი სოსო ფრუიძის გუნდის უპირატესობა 2-ბურთიანი გახდა – ბიძინა მახარობლიძემ დუბლი შეასრულა.

მე-2 ტაიმში დედაქალაქელებმა ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს. გოლი გეგა დიასამიძემ გაიტანა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ საბურთალოელმა ხელით გაიტანა, რამაც მოედანზე დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. არადა, დარღვევა ნათლად ჩანდა...

დარჩენილ დროში ანგარიში არ შეცვლილა, ხოლო საინტერესო მატჩის შემდეგ მოხდა, როდესაც მოედანზე საბურთალოს გულშემატკივარი შევარდა და საჩხერელთა მეკარეს ფიზიკურად შეეხო. რა გაგრძელება მოჰყვება ამ ინციდენტს, ამას სადისციპლინო კომიტეტი გადაწყვეტს.

რუსთავი-დინამო (თბ) 0:2

რუსთავი. ტექნიკური ცენტრი

0:1 ფლამარიონი (39), 0:2 გაფრინდაშვილი (82)

რუსთავი: მამარდაშვილი, ც.კაპანაძე, ტაკულოვი, ლ.გადრანი, ჯაფიაშვილი, ნარიმანიძე (იმნაძე 66), ფონიავა (კიტეიშვილი 83), სილაგაძე, ქოჩლაძე (ჩოგაძე 66), გიტაროვი, ციცქიშვილი

დინამო: ალავიძე, ადამაძე, მელიავა, გაგოშიძე, ნავალოვსკი, მანჯგალაძე, მამუჩაშვილი, ჯანელიძე, რამოსი (გაფრინდაშვილი 61), რ.ჭანტურია (ტეიდი 74), ფლამარიონი (საბანაძე 81)

მარტივად მოიგო თავისის შეხვედრა ბათუმის დინამომ, რომელიც სტუმრად რუსთავს დაუპირისპირდა. გია გეგუჩაძის შეგირდებმა მეტოქე ანგარიშით 2:0 დაამარცხეს. გოლები სტუმართა რიგებში ჯოვინო ფლამარიონმა და თორნიკე გაფრინდაშვილმა გაიტანა. ამ გამარჯვების შემდეგ ბათუმელები კვლავ ლიდერთა სამეულში იკავებენ ადგილს, რუსთავი კი გასავარდნ ზონაში რჩება.

ტორპედო-ვიტ ჯორჯია 2:1

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

1:0 ზივზივაძე (29), 2:0 კაპანაძე (65), 2:1 მუსელიანი (89)

ტორპედო: კვასხვაძე, გეგეჭკორი, კობახიძე, აზაცკი, ქიმაძე, ქავთარაძე (დოლიძე 69), გიგაური, ცინცაძე, ლუკა (ჭიჭინაძე 80), ზივზივაძე, კაპანაძე (ჩაჩუა 73)

ვიტ ჯორჯია: შეროზია, გეთიაშვილი, ჩაკვეტაძე, ჩიტიშვილი (კიკნაველიძე 63), ლაცაბიძე, საჯაია, ვასაძე, მოსიაშვილი, ღუდუშაური (მუსელიანი 76), კაკაშვილი, მაისურაძე (ღირდალაძე 46)

მორიგი 3 ქულა მოიპოვა ქუთაისის ტორპედომ. კახა ჩხეტიანის გუნდმა ვიტ ჯორჯიას 2:1 მოუგო. მასპინძელთა რიგებში პირველი გოლი დიდი პაუზის შემდეგ ბუდუ ზივზივაძემ გაიტანა, ხოლო მეორე გოლის ავტორი თორნიკე კაპანაძე გახდა. ვიტ ჯორჯია ამ მატჩში უიმედოდ არ გამოიყურებოდა და სახიფათო მომენტებსაც ქმნიდა, თუმცა გოლის გატანა სტუმრებმა მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლეს. როინ კვასხვაძის კარი ზურაბ მუსელიანმა აიღო.

ლოკომოტივი – სიონი 1:2

თბილისი. მიხეილ მესხი 2

0:1, 0:2 უგულავა (9პ,70), 1:2 შონია (89)

ლოკომოტივი: ბულისკერია, გურეშიძე, ნ.ჭანტურია, კომახიძე, სამურკასოვი (გვალია 26), შონია, კიკაბიძე (ჯიქია 66), კობახიძე (შეყილაძე 74), თ.კირკიტაძე, არდაზიშვილი, სიხარულიძე

სიონი: ზარქუა, ჩაჩუა, თომაშვილი, აფაქიძე, სუხიაშვილი, ხმალაძ, დ.კირკიტაძე, თარგამაძე (მანაგაძე 73), რაჟუამაშვილი, უგულავა (მაქაცარია 73), ისიანი (ქიქავა 65)

ახალმა მწვრთნელმაც ვერ უშველა ლოკომოტივს. რკინიგზელებმა ისევ წააგეს. ლევან კორღალიძის გუნდი ბოლნისის სიონმა დაამარცხა.

ქვემოქართლელთა შორის ჯაბა უგულავა გამოირჩა, რომელმაც დუბლი შეასრულა. თეიმურაზ შონიას გვიანმა გოლმა ლოკომოტივი ვერაფრით ანუგეშა.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	8	6	0	2	18-10	18
2.დინამო (თბ)	8	5	1	2	15-6	16
3.დინამო (ბთ)	8	5	1	2	9-5	16
4.ტორპედო	8	5	1	2	11-8	16
5.ჩიხურა	8	3	4	1	12-7	13
6.სიონი	8	3	2	3	10-15	11
7.ვიტ ჯორჯია	8	2	2	4	4-8	8
8.ლოკომოტივი	8	2	0	6	9-15	6
9.დილა	8	1	2	5	5-9	5
10.რუსთავი	8	0	3	5	5-15	3

ვლადიმირ ვაისი: „შვეიცარია-ირლანდიასთან შეცდომები მქონდა და პასუხისმგებელი ვარ“

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვლადიმირ ვაისი თბილისში იმყოფებოდა და მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

ცხადია, ძირითადი თემა განვლილ 2 წარუმატებელი მატჩი იყო – შვეიცარიისა და ირლანდიის ნაკრებებთან.

ვაისმა ისაუბრა ძირითად მიზანზე და განაცხადა, რომ მთავარია, გუნდი 2020 წლის მარტს და ერთა ლიგის პლეი ოფს სათანადოდ მომზადებული შეხვდეს.

ვლადიმირ ვაისი:

ფეხბურთის ფედერაციამ, როდესაც მეორე კონტრაქტი შემომთავაზა, გადავწყვიტე მიმეღო, რადგან ერთა ლიგა ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, ჩემი ინფორმაციით, წინამორბედებთან შედარებით ყველაზე ნაკლებ გასამრჯელოს ვიღებ.

შვეიცარია-ირლანდიასთან ჩვენი ფეხბურთელები არ იყვნენ სასურველ ფიზიკურ კონდიციაში, რომ იმ კონკრეტულ მომენტში მათთან თანაბრად ეთამაშათ. მეტიც, ამ მდგომარეობაში გამარჯვება ერთა ლიგის ჯგუფშიც გაგვიჭირდებოდა. ვგულისხმობ ტრავმებსა და სათამაშო კონდიციას და არა იმას, რომ ცუდი ფეხბურთელები გვყავს. ფეხბურთელებზე ცუდი არასოდეს მითქვამს. ჩემს თავს არასოდეს ვაკადრებ, ფეხბურთელებზე ცუდი ვთქვა. ზოგჯერ შესაძლოა, ჩემ მიერ ემოციურად ნათქვამი სხვაგვარად გავრცელდეს. 2 თამაში წავაგეთ, რაზეც პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ, თუმცა, ცხოვრება გრძელდება. არსებობს ვითარება, როდესაც მწვრთნელის მიერ გასახდელში ნათქვამი, გასახდელში უნდა დარჩეს. იქ რაც ხდება, ყველაფერს ვერ იტყვი. ოქრიაშვილი მზად არ იყო, მაგრამ მისი საფეხბურთო თვისებები ძალიან მომწონს და ვაფასებ და გამომდინარე იქიდან, რასაც ვარჯიშებზე აკეთებდა, მაინც დავაყენე, მაგრამ თამაშმა აჩვენა, რომ შევცდი.

– როგორც ვიცით, მოსკოვში იყავით ლოკომოტივი-ზენიტის მატჩზე. ლოკოში 2 ქართველი თამაშობს – კვირკველია და კვარაცხელია. რა დაინახეთ მათში?

– სანამ კიდევ მკითხავთ, კვირკველიაზე გეტყვით... არის მომენტები, როდესაც მწვრთნელი გადანყვეტილებას იღებს და ინფორმაცია გასახდელში რჩება. კვირკველიასთან მიმართებაში არაფერი მომხდარა და ამ საკითხზე მეტს ვერ ვისაუბრებ. ჩავედი მოსკოვში, რათა მენახა, როგორ თამაშობს საბა გუნდში და შემიძლია ვთქვა, რომ ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ფეხბურთელია, როგორც გუნდში, ისე საქართველოს ნაკრებში.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ტალახაძემ ევროპა რეკორდებით დახურა

ბათუმში ევროპის ჩემპიონატი ძალოსანთა საქართველოს ტრიუმფითა და ჰიმნით დასრულდა.

+109 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლაშა ტალახაძემ სამი მსოფლიო რეკორდი დამყარა, ატაცში 118 კილოგრამი, აკვრაში – 260 და ორჭიდის ჯამში – 478.

ატაცშიც და აკვრაშიც ლაშამ მხოლოდ 2 ცდა გამოიყენა და შტანგასთან მესამედ აღარ მისულა.

ამავე წონაში ჩინებულად გაისარჯა ირაკლი თურმანიძეც, რომელმაც ატაცსა და ორჭიდში ვერცხლის მედალი აიღო, ხოლო აკვრაში ბრინჯაოს დასჯერდა.

ქართველი მედალოსნები საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ დააჯილდოვა:

– ძალოსნობის ფედერაცია მართლაც გამორჩეული და ყველაზე წარმატებულია. საქართველომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერი ტურნირის ძალიან მაღალ დონეზე მასპინძლობა და ეს მხოლოდ დასაწყისია.

ყველა ქართველს, სპორტის ყველა გულშემატკივარს ვულოცავ დღევანდელ დღეს. ყველაზე ძლიერი ადამიანი ქართველია და ის არის ლაშა ტალახაძე. ყველას გილოცავთ!

შედეგები

13 აპრილი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ტოტენჰემი-ჰადერსფილდი 4:0
ბარნლი-კარდიფი 2:0
ბრაიტონი-ბორნმუთი 0:5
საუთჰემტონი-ვულვზი 3:1
ფულემი-ევერტონი 2:0
მანჩესტერი-ვესტ ჰემი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	33	25	7	1	75-20	82
2.სიტი	32	26	2	4	83-21	80
3.ტოტენჰემი	33	22	1	10	64-34	67
4.ჩელსი	33	20	6	7	57-34	66
6.მანჩესტერი	33	19	7	7	63-44	64
6.არსენალი	32	19	6	7	65-40	63
7.ლესტერი	34	14	5	15	46-45	47
8.ვულვზი	33	13	8	12	41-42	47
9.ევერტონი	34	13	7	14	46-44	46
10.უოტფორდი	32	13	7	12	47-47	46
11.ვესტ ჰემი	34	12	6	16	42-52	42
12.ბორნმუთი	34	12	5	17	49-61	41
13.კრ.პალასი	33	11	6	16	39-43	39
14.ბარნლი	34	11	6	17	42-60	39
15.ნიუკასლი	34	10	8	16	32-43	38
16.საუთჰემპტონი	33	9	9	15	39-54	36
17.ბრაიტონი	32	9	6	17	32-51	33
18.კარდიფი	33	8	4	21	28-63	28
19.ფულემი	34	5	5	24	32-76	20
20.ჰადერსფილდი	34	3	5	26	19-67	14

ესპანეთი. პრემიერლიგა დივიზიონი

ესპანიოლი-ალავესი 2:1
უესკა-ბარსელონა 0:0
ატლეტიკო-სელტა 2:0
სევილია-ბეტისი 3:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	32	22	8	2	81-31	74
2.ატლეტიკო	32	19	8	5	47-21	65
3.რეალი	31	19	3	9	55-37	60
4.სევილია	32	15	7	10	54-39	52
5.ხეტაფე	31	13	11	7	38-27	50
6.ვალენსია	31	10	16	5	33-26	46
7.ალავესი	32	12	9	11	33-40	45
8.ბილბაო	31	10	13	8	33-35	43
9.ბეტისი	32	12	7	13	38-43	43
10.ესპანიოლი	32	11	8	13	37-46	41
11.სოსიედადი	31	10	10	11	37-38	40
12.ლეგანესი	31	10	10	11	31-35	40
13.ეიბარი	31	9	12	10	41-43	39
14.ხირონა	31	8	10	13	33-43	34
15.ლევანტე	31	8	9	14	44-56	33
16.სელტა	32	8	8	16	45-55	32
17.ვილიარეალი	31	6	12	13	39-45	30
18.ვალიადოლიდი	31	7	9	15	24-43	30
19.რაიო	31	7	6	18	34-54	27
20.უესკა	32	5	10	17	35-55	25

გერმანია. ბუნდესლიგა

ვერდერი-ფრაიბურგი 2:1
ჰანოვერი-გლადბახი 0:1
ლაიფციგი-ვოლფსბურგი 2:0
შტუტგარტი-ლევერკუზენი 0:1
დორტმუნდი-მაინცი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	29	20	6	3	68-36	66
2.ბაიერნი	28	20	4	4	74-28	64
3.ლაიფციგი	29	17	7	5	55-22	58
4.აინტრახტი	28	15	7	6	56-31	52
5.გლადბახი	29	15	6	8	48-35	51
6.ვერდერი	29	12	10	7	52-41	46
7.ლევერკუზენი	29	14	3	12	51-48	45
8.ვოლფსბურგი	29	13	6	10	47-44	45
9.ჰოფენჰაიმი	28	11	11	6	58-39	44
10.ფორტუნა	28	11	4	13	38-52	37
11.ჰერტა	28	9	8	11	41-46	35
12.მაინცი	29	9	6	14	34-50	33
13.ფრაიბურგი	29	7	11	11	39-50	32
14.შალკე	29	7	6	16	30-47	27
15.აუგსბურგი	28	6	7	15	37-54	25
16.შტუტგარტი	29	5	6	18	27-61	21
17.ნიურნბერგი	29	3	9	17	24-54	18
18.ჰანოვერი	29	3	5	21	25-66	14

იტალია. სერია ა

სპალი-იუვენტუსი 2:1
რომა-უდინეზე 1:0
მილანი-ლაციო 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	32	27	3	2	65-22	84
2.ნაპოლი	31	19	7	5	58-27	64
3.ინტერი	31	17	6	8	47-25	57
4.მილანი	32	15	10	7	46-30	55
5.რომა	32	14	9	9	57-45	54
6.ატალანტა	31	15	7	9	64-41	52
7.ტორინო	31	12	13	6	40-28	49
8.ლაციო	31	14	7	10	44-33	49
9.სამპდორია	31	13	6	12	51-41	45
10.ფიორენტინა	31	8	15	8	46-39	39
11.სასუოლო	31	8	12	11	46-51	36
12.ჯენოა	31	8	10	13	35-49	34
13.პარმა	31	9	7	15	33-50	34
14.კალიარი	31	9	9	13	30-43	36
15.სპალი	32	9	8	15	30-45	35
16.ბოლონია	31	7	9	15	31-47	30
17.უდინეზე	30	7	8	15	27-42	29
18.ემპოლი	31	7	7	17	40-59	28
19.ფროზინონე	31	5	8	18	25-56	23
20.კიევო	31	1	11	19	21-64	11

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

საფრანგეთი. 1 ლიგა

მარსელი-ნიმი 2:1
კაენი-ანჟე 0:1
მონაკო-რეიმსი 0:0
სტრასბური-გენგამი 3:3

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	30	26	3	1	89-18	81
2.ლილი	31	18	7	6	49-27	61
3.ლიონი	32	16	8	8	53-40	56
4.მარსელი	32	15	6	11	49-43	51
5.სტ.ეტიენი	31	14	8	9	45-37	50
6.რეიმსი	31	11	15	5	32-28	48
7.ნიცა	31	13	8	10	23-29	47
8.ნიმი	32	12	7	13	47-47	43
9.მონპელიე	30	10	12	8	40-35	42
10.რენი	31	11	9	11	43-43	42
11.სტრასბური	31	9	14	8	50-40	41
12.ანჟე	32	9	14	9	39-38	41
13.ბორდო	31	9	11	11	30-31	38
14.ტულუზა	31	8	11	12	29-44	35
15.ნანტი	31	9	7	15	35-40	34
16.მონაკო	32	7	11	14	31-46	32
17.ამიენი	32	8	8	16	26-45	32
18.დიჟონი	32	6	7	19	24-48	25
19.გენგამი	31	5	9	17	23-55	24
20.კაენი	32	4	11	17	24-47	23

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

მანქანის ბორბლებქვეშ მოყოლილი ბავშვი სასწაულებრივად გადარჩა

ჩინეთის პროვინცია ცზიანსუს ქალაქ სუჩჟოუში ბავშვი მანქანის ბორბლებქვეშ აღმოჩნდა და სასწაულებრივად გადარჩა.

ინციდენტი აპრილის დასაწყისში მოხდა. ვიდეოს კადრებში ჩანს, თუ როგორ მიდის ერთი წლისა და სამი თვის ბავშვი მანქანის მარჯვენა წინა ბორბალთან და ამით მძღოლის ხედვის არედან ქრება. მამაკაცმა მანქანა დაქოქა და წინა და უკანა ბორბლებით ბავშვს გადაუარა. შემდეგ მძღოლმა მანქანა გააჩერა, გადმოვიდა და ბავშვი ხელში აიყვანა. ბავშვი დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა მას მრავლობითი მოტეხილობები და თავში სისხლჩაქცევა დაუდგინეს, თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

პოლიციამ შემთხვევის გამოძიება დაიწყო.

ძაღლმა თვითმფრინავის კატასტროფა გამოიწვია

აშშ-ის ტრანსპორტის უსაფრთხოების ეროვნულმა საბჭომ აიოვას შტატის ქალაქ მონტიჩელოს რაიონში მომხდარი ავიაკატასტროფის მიზეზი დაადგინა. ორგანიზაციამ საბოლოო ანგარიში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

2017 წლის ივნისში ერთძრავიანი თვითმფრინავის ჩამოვარდნის შედეგად მისი 90 წლის პილოტი დაიღუპა. მის გარდა თვითმფრინავის სალონში მხოლოდ ძაღლი იმყოფებოდა, რომელიც ცოცხალი გადარჩა.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ თვითმფრინავის დაშვების დროს ძაღლი, რომელიც 35 კილოგრამს იწონიდა, „თვითმფრინავის მართვის ხელსაწყოებთან კონტაქტში შევიდა“. ამის გამო პილოტმა საფრენი აპარატის მართვაზე კონტროლი დაკარგა.

მამაკაცმა მდიდარი მეუღლე მემკვიდრეობის მისაღებად მოკლა

აშშ-ში განაჩენი გამოუტანეს 45 წლის ბროკერ როდერიკ კოვლინს, რომელმაც მეუღლე მემკვიდრეობის მისაღებად მოკლა.

47 წლის ფინანსისტი შელე დანიშევსკი-კოვლინი 2019 წლის დეკემბერში დაიღუპა. მისი ცხედარი ცხრა წლის ანამ იპოვა. ქალი იწვა აბაზანაში, რომელიც სისხლიანი წყლით იყო სავსე. გოგონამ მეზობლად ბინაში მცხოვრებ მამას დაუძახა. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციას მან განუცხადა, რომ მის მეუღლეს ფეხი დაუცდა და დაეცა.

ქალის დაღუპვის მიზეზად უბედური შემთხვევა ჩათვალეს. ორი დღის შემდეგ ქალი ისე დაასაფლავეს, რომ მისი გაკვეთა არ მომხდარა. ასევე ქალის დაღუპვის ადგილზე არ მომხდარა თითების ანაბეჭდების, დნმ-ის ანალიზის აღება ან სხვა რაიმე მტკიცებულებების მოძებნა.

მალე შელის ახლო ნათესავებმა იეჭვეს, რომ მისი დაღუპვა შემთხვევითი არ ყოფილა. ის სიცოცხლეში ნათესავებს მეუღლის სისასტიკეზე შესჩიოდა. მან განქორწინებაზე შეიტანა საჩივარი და მეუღლის ანდერძიდან ამოშლას აპირებდა.

დაეჭვების კიდევ ერთ საბაბს ის იძლეოდა, რომ დაღუპვამდე ერთი დღით ადრე შელე სილამაზის სალონში იმყოფებოდა თმის კერატინულად გასასწორებლად. აღსანიშნავია, რომ ასეთი პროცედურის შემდეგ სამი დღის განმავლობაში თმის დასველება არ არის რეკომენდებული. ამ დროს კი გარდაცვლილის ცხედარი სააბაზანოში ნახეს.

ეჭვების გასაფანტად ოჯახმა დაღუპულის ცხედრის ექსჰუმაციის გადაწყვეტილება მიიღო. პათოლოგოანატომის დასკვნის თანახმად, ქალი გაგუდული იყო. ორთაბრძოლა იმდენად სასტიკი იყო, რომ ენისქვეშა ძვლის მოტეხილობაც კი გამოიწვია.

ირიბი მტკიცებულებები იმაზე მიუთითებდნენ, რომ მკვლელი როდერიკი იყო. მას ყოფილი მეუღლის ბინის კარის გასაღები ჰქონდა და მოტივიც – ანდერძის შეცვლის გამო ხუთი მილიონი დოლარის მემკვიდრეობას კარგავდა. გამოძიების ვერსიით, მამაკაცმა ცოლი გაგუდა, სანამ ბავშვებს ეძინათ და წყლით სავსე აბაზანაში ჩააწვინა, რათა მომხდარი უბედურ შემთხვევად გაესაღებინა.

როდესაც შელემ მეუღლესთან განქორწინება გადაწყვიტა, როდერიკმა მის დამსაქმებლებთან დარეკა და დაიჩივლა, რომ ის ნარკოტიკების მომხმარებელი იყო. გარდა ამისა, მამაკაცი სამი წლის შვილს ჩასჩიჩინებდა, რომ დედა ძალადობაში დაედანაშაულებინა. მოგვიანებით კი მამაკაცი არაფერზე უკან არ იხევდა იმისთვის, რომ ბავშვებზე მეურვეობა მოეპოვებინა და ამით მემკვიდრეობის მათ წილზეც მიეღო წვდომა. ის თავის 12 წლის ქალიშვილს სთხოვდა, პაპა გაუპატიურებაში დაედანაშაულებინა, ხოლო როდესაც ამ გეგმამ არ გაუმართლა, შეეცადა, მექსიკაში გაეყვანა და იქ გაეთხოვებინა. ამ შემთხვევაში მემკვიდრეობის მის წილზე უფლება ფიქტიურ მეუღლეს გადაეცემოდა, რომლისთვისაც როდერიკი ათი ათასი დოლარის გადახდას აპირებდა. ასევე მამაკაცმა ანას სახელით შეადგინა ყალბი წერილი, რომელშიც გოგონა დედის მკვლელობას აღიარებდა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ როდერიკ კოვლინი მკვლელობაში დამნაშავედ ცნო. მამაკაცს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა 25 წლის შემდეგ ვადამდე გათავისუფლების უფლებით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

ვლადიმირ ვაისი: „შვეიცარია-ირლანდიასთან შეცდომები მქონდა და პასუხისმგებელი ვარ“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

რაც შეეხება ხვიჩა კვარაცხელიას, ის ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელია. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სიომინი მას ასეთ მაღალი დონის ჩემპიონატში ასეთ ასაკში უკვე ენდობა. საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და თუ ასე გააგრძელებს თამაშს, არაა გამორიცხული, ახლო მომავალში საქართველოს ნაკრებშიც გამოვიძახო.

– გიორგი არაბიძემ ახალგაზრდულ ნაკრებში კარგი მატჩები ჩაატარა. არის შანსი, რომ დაუბრუნდეს ეროვნულ გუნდს?

– გიორგი არაბიძემ ეროვნულ ნაკრებში შანსი აქამდეც მიიღო. ახლა 21 წლამდე ნაკრებში თამაშობს და ბოლო მატჩები კარგადაც ჩაატარა. თუმცა, ამ დონის ტალანტი, როგორიც არაბიძეა, კლუბში გაცილებით მეტს უნდა თამაშობდეს, რადგან მისთვის პროგრესი აუცილებელია. შესაძლოა, კლუბის მთავარ მწვრთნელთან მცირე უთანხმოება აქვს, მაგრამ აუცილებელია, რომ კლუბში მთავარ მწვრთნელთან მეტი კომუნიკაცია ჰქონდეს.

რა თქმა უნდა, მისთვის ეროვნული ნაკრების კარი დაკეტილი არაა. უბრალოდ მან კლუბში ისეთი ხარისხის თამაში უნდა აჩვენოს, რომელიც ეროვნულ ნაკრებს შეეფერება. მითხარით მწვრთნელი, რომელიც საუკეთესო ფეხბურთელს არ გამოიძახებს? ფაქტია, რომ 20 წლის ფეხბურთელს კლუბში მეტი სათამაშო პრაქტიკა უნდა ჰქონდეს. შესაძლოა, ახლა მითხრათ, რომ უკლუბოდ მყოფი ოქრიაშვილი გამოვიძახე, მაგრამ მას დასამტკიცებელი არაფერი აქვს.

– ნაკლებად ესწრებით ეროვნული ლიგის მატჩებს. იქნებ ჩვენც გვყავს საინტერესო ფეხბურთელები, რომლებიც ნაკრებს დააკმაყოფილებენ.

– რა თქმა უნდა, ყველა ფეხბურთელზე გვაქვს ინფორმაცია. მაგალითად, აკაკი შულაია, რომელიც ძალიან სწრაფი ფეხბურთელია, რომელსაც დრაივი აქვს და მას აქტიურად ვაკვირდებით. იმის ფონზე, რომ ეროვნულ ნაკრებში ხშირად არის ტრავმები, ასეთი კატეგორიის ფეხბურთელებს ვაკვირდებით. მის გარდა კიდევ არის 2-3 ფეხბურთელი. ვცდილობ, მაქსიმალურად ბევრ თამაშს დავესწრო, როდესაც თბილისში ვიმყოფები და არც ინტერნეტის მეშვეობითაა რთულია თვალის მიდევნება, მით უმეტეს, ყველა თამაშის პირდაპირი რეპორტაჟია. საქართველოს ნაკრების კარი ეროვნულ ლიგაში მოთამაშე არც ერთი ფეხბურთელისთვის დახურული არაა და ხშირი ყოფილა შემთხვევა, როდესაც ეროვნულ გუნდში ყოფილა ფეხბურთელი, რომელსაც ქართულ გუნდში უთამაშია.

– ჯანო ანანიძე ტრავმის გამო ირლანდიაში არ წაჰყვა გუნდს. არადა, 3 დღეში კრილიას შემადგენლობაში სრული დატვირთვით ითამაშა. გუნდში კარგი მდგომარეობაა?

– ჯანომ შვეიცარიასთან მატჩის შემდეგ მითხრა, რომ მუხლი სტკიოდა და ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სამ დღეში ორ მატჩს ვერ ჩაატარებდა. მე ავუხსენი, რომ თუ ირლანდიაში სათამაშოდ მზად არ იყო, მაშინ სჯობდა, კლუბში დაბრუნებულიყო და გამოჯანმრთელებულიყო.

ირლანდიასთან მატჩის შემდეგ არ მითქვამს, რომ გაშვებული გოლი ლორიას ბრალია. ვთქვი, რომ კედელი ცუდად იყო დაყენებული. კედელში კიდევ ერთი მოთამაშე უნდა ყოფილიყო. ლორიამ შვეიცარიასთან და ირლანდიასთან საუკეთესო თამაში აჩვენა. ჩვენ 3 წელიწადია ვმუშაობთ და ქართულ ფეხბურთს იმედი გავუჩინეთ ყველამ ერთად. ერთა ლიგაზე გამარჯვება ყველასთვის დიდი წარმატება იქნება.

– ნაკრებში პრობლემატურად ჩანს დაცვის მარცხენა ფლანგი და გოლის გამტანი ფორვარდი.

– ჩემი ხელმძღვანელობით ტაბიძეს საკმაოდ კარგი პერიოდი აქვს. შვეიცარიასთან მარცხენა მცველის პოზიციაზე კარგად ითამაშა, მაგრამ შემდეგ ტრავმა მიიღო და ირლანდიაშიც ვერ დაგვეხმარა. ვის მოვიაზრებ ამ პოზიციაზე? თუ გიორგი ნავალოვსკი არ იქნება გუნდში, ლაშა დვალს, ლევან ხარაბაძესა და ტაბიძეს.

– ერთა ლიგა და საკვალიფიკაციო ეტაპი სრულიად განსხვავებულია და ხარისხითაც ისე ვერ გამოვიყურებით, როგორც ერთა ლიგაზე.

– რა თქმა უნდა, ერთა ლიგა და საკვალიფიკაციო ეტაპი ძალიან განსხვავებულია. როდესაც ძლიერ მეტოქესთან წააგებ, ეს უნდა აღიარო, ხელი ჩამოართვა და მიულოცო. კიდევ გავიმეორებ, რომ ბოლო 2 თამაშისთვის საჭირო იყო 100%-ზე მეტით მზადყოფნა, მაგრამ ჩვენ არ ვიყავით მზად.

ახლა ვემზადებით ივნისის მატჩებისთვის და ჩვენი მიზანია, რომ მაქსიმალურად მომზადებული შევხვდეთ გიბრალტართან და დანიასთან შეხვედრებს.

მოამზადა მიხეილ ყორეყოლიანმა

ასტროპროგნოზი 15 აპრილისთვის

ვერძი – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა იღბლიანია. ორგანიზებულობა და სითამამე დღის დევიზია. **კურო** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღი აზრი შეინარჩუნეთ. შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – ახლობლები იმედს გაგიცრუებენ. პროფესიაში უკუსვლაა მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – დაისვენეთ, შეიცვალეთ გარემო. ახალი საქმის დასაწყებად ენერგია გჭირდებათ. **ლომი** – იდეების რეალიზებაში კოლეგები დაგეხმარებიან. შესაძლოა, დაგასაჩუქრონ. **ქალწული** – გარისკვა დღეს სასურველ შედეგს გამოიღებს. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. **სასწორი** – არაჯანსაღი გარემო, საკვები და ინერტულობა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ფიზიკური დატვირთვა დღეს სავალდებულოა. **ღრიანცალი** – რომანტიკული შეხვედრა ხასიათს გამოგიკეთებთ. ეცადეთ, დღეს ნაკლები იმუშაოთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კომერციულ გარიგებებსა და საქმიან შეხვედრებს. უმჯობესია, ეს დღე ოჯახურ ატმოსფეროში გაატაროთ. **თხის რქა** – ოფიციალურობა და სიხისტე არასასურველია. იყავით გულმოწყალე და მიმნდობი. **მერწყული** – სრულყავით პროფესიონალიზმი, შეისწავლეთ ახალი საქმე. სულიერებაზეც იზრუნეთ. **თევზები** – სოლიდური ორგანიზაციები თქვენ მიმართ ინტერესს ავლენენ. ეცადეთ, საკუთარი ნიჭი და უნარი ფართოდ წარმოაჩინოთ.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

სუდოკუ



1. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 2. ციტრუსი; 3. იგივეა, რაც აირი; 4. ხვეწნა, მუდარა (ძვ.); 5. მკვრივი დეკორატიული ქსოვილი; 6. დაკოდილი ცხენი; 7. საკონდიტრო ნაწარმი; 8. ნელი ტემპი მუსიკაში; 9. უბანი ქუთაისში; 10. იტალიური „ნიღბების კომედიის“ პერსონაჟი გოგო; 11. ... ბრძენი; 12. ფინური აბანო; 13. ... იყალთოელი; 14. ქალაქი რაჭაში; 15. გოფრედო... (იტალიელი მწერალი); 16. დათქმული საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა; 17. ფრანგული ავტომობილი; 18. ... -კლარჯეთი; 19. ცდის გარეშე; 20. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო; 21. მარე ავსტრიაში; 22. დროშა; 23. ქვეყნის მხარეთა მაჩვენებელი ხელსაწყო; 24. ... ფეროუ; 25. ქცევის თავისებურება; 26. ფარაონების ღვთაებრივი მშობელი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 27. თეატრის კოლექტივი; 28. მდინარე იტალიაში; 29. ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 30. ღარნაკი; 31. გადამდები დაავადების მუდმივი არსებობა რომელიმე მხარეში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კაფი; 2. ემუ; 3. რეზონანსი; 4. ჯოული; 5. კახიანი; 8. რუსო; 9. ლიეტუვა; 10. სინოპეკი; 12. ხარაზი; 13. ბრერა.

თარაზულად: 1. კავსაძე; 6. კეჭნაობა; 7. ფურკა; 10. სიონი; 11. ისანი; 13. ბუტკო; 14. ჟოკეი; 16. არვე; 17. ინგლისი; 18. ტონიკი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სუფლიორი; 2. ნაღმი; 3. სიბარიტი; 4. ჰენესი; 7. სიონი; 9. ჰერტა; 12. ბრიჯსტოუნი; 14. ჯოყოლა; 15. მეეზოვე; 17. გუანაკო; 20. ოხორი.

თარაზულად: 5. კუროსავა; 6. ფრიკასე; 8. კომოციო; 10. მონოტიპი; 11. ბრუნეი; 13. გეიმერი; 16. ბარიტონი; 18. ლუქსი; 19. დელტა; 21. სხალთა; 22. ავადჰარა; 23. ტოსკანა.

მიშა მესხი ტელეკომპანია „პირველიდან“ გააგდეს

მსახიობი მიშა მესხი ტელეკომპანია „პირველში“ იყო მიწვეული, საიდანაც გააგდეს.

როგორც მსახიობმა განაცხადა, იგი გადაცემა „პირველების“ ერთ-ერთი სტუმარი იყო, სადაც თემაზე „კინო და ოცნება“ მიიწვიეს.

მიშა მესხმა სტუდიის დატოვებისთანავე სპეციალური ვიდეომიმართვა გაავრცელა, სადაც აღნიშნა, რომ განსხვავებული აზრის გამო წამყვანებმა ის სტუდიიდან გააგდეს:

– განსხვავებული აზრი მაქვს და ტიპებმა სტუდიიდან გამომაგდეს. ეგეთი რამე გაგიგიათ, ხალხო? მაინტერესებს, ეს არის სწორი ტელევიზია?

ეს არის ქართული რეალობა! ძალიან გაბრაზებული ვარ! შეურაცხყოფილი ვარ! განსხვავებული აზრი ადამიანმა არ უნდა თქვას თუ რას ნიშნავს ეს?

პაატა თედიაშვილი: „პროფილის“ შემდეგ გაქცევა მომიწია“

მას შემდეგ, რაც მომღერალმა პაატა თედიაშვილმა მაია ასათიანის გადაცემა „პროფილში“ თავზე ეკლის გვირგვინი დაიდგა და 10 მცნება გარეპა, საზოგადოების დიდი რისხვა დაატყდა თავს.

მომღერალი ბაქოში წავიდა და წითელ ხიდთან გადაღებულ ფოტოს მოკლე წარწერა გაუკეთა:

– „პროფილის“ შემდეგ გაქცევა მომიწია. აზერბაიჯანმა მომცა თავშესაფარი. მადლობა.

გიორგი ბოჭორიშვილი უპრინციპო ადამიანებს აკრიტიკებს

სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობი გიორგი ბოჭორიშვილი უპრინციპო და საკუთარ კეთილდღეობაზე ჩაციკლულ ადამიანებს აკრიტიკებს:

– ნეტა ზღვარი სად გადის, როდესაც ყველა ერთხმად იტყვის, რომ „ქართული ოცნება“ და ბატონი ბიძინა ივანიშვილი არის ქვეყნის მთავარი მუხრუჭი, შემაფერხებელი, გამფუჭებელი, მაცდუნებელი.

რა უნდა მოხდეს, რამდენი მ..ნერის ჭამას გვიპირებს კიდე და რამდენის ჭამას ვაპირებთ ჩვენ? კი, გარდაუვალია ამ ყველაფრის დამთავრება ადრე თუ გვიან, მაგრამ როდის, 2020-ში? რო არ მოხდეს ეგრე?! ყოველ ჯერზე, როცა ქვეყანაში რაღაცა იცვლება, უკიდურეს ზღვრამდე მივდივართ, ჩვენდა სამწუხაროდ.

ამ შემთხვევაში ჩაბუჟბუჟებულია საზოგადოების დიდი ნაწილი, ზოგი ვალდებულად თვლის ამ კაცის წინაშე თავს და ვერ პოულობს ძალას საკუთარ თავში, რომ დაუპირისპირდეს. არ აწუხებს, კმაყოფილია, მოსყიდულია, ნებსით თუ უნებლიეთ.

ჰოდა, ეს რყვნის ქვეყანას, მეტი კი არაფერი! უპრინციპო და საკუთარ კეთილდღეობაზე ჩაციკლული ადამიანები, შეშინებულები უცხოელებით, განსხვავებული ორიენტაციით, შავი ხვრელით და ა.შ.

მიშო სულუხია: „ხელოვნება მარტო ხელოვნება არ არის“

ასე მიაჩნია მომღერალ მიშო სულუხიას და თავის მოსაზრებას არგუმენტირებული მსჯელობით ამყარებს:

– ჩვენ მთავრობა გვბლოკავს და ჩვენ მერიის კულტურის სამსახური არ გვეძახის. მერიის სარჩენი რომ იქნები მუსიკოსი, უნდა ადგე და პარალელური პროფესია შეითავსო, თან კეთილი, მაგალითად, აგრონომია, მეღვინეობა, მიწათმოქმედება, მეყველეობა და ა.შ.

საერთოდ არ ტეხავს, დროულად მიხვდე, რომ რაღაც არ გამოდის ცხოვრებაში და სხვა რელსზე გადახვიდე, ვიდრე შორი წარსულიდან შთაგონებულ აკვიატებას ებღაუჭო მთელი ცხოვრება და საშუალო ეფექტი ახდინო ყველგან. ვისაც სიახლის შექმნის კოდი აქვს მის ბიოლოგიაში, არ მოასვენებს მასზე არფიქრი და მისი მოქმედებაში არმოყვანა. ასე ვრცელდება ეს კოდი მხატვრებში, მსახიობებში, მუსიკოსებში, ლიტერატორებში, პოეტებში, რეჟისორებსა თუ დურგლებში.

ნუ ჩამითვლით ამ ტექსტს იმაში, რომ მე ჩემი თავი მიპოვია და ვინმეს ჭკუას ვარიგებ. არა, მე ერთ-ერთი ნაწილი ვარ იმ შემოქმედ ადამიანთა, რომელიც ძიებაშია და რთულ გზას გადის იმისთვის, რომ თავის თავთან იყოს მართალი, განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში, სადაც კბილებით გვიჭირავს კულტურა, რომ მტერმა მართლა საბოლოოდ არ ნაგვლეკოს.

მე ჩემი ერთადერთი რამ: ნიჭი, თავმდაბლურად რომ ვთქვა, რაც უმეტესობას მოეწონება, „რაღაცის კეთების უნარი“ იმდენად მიყვარს და ვუფრთხილდები, რომ არ მემეტება, ისეთი სახით გადმოვცე, როგორიც ეს ვიღაცებისთვის იქნება მისაღები, განსაკუთრებით კი გავრცელებულ და უკვე აპრობირებულ ჟანრებში.

ხელოვნება მარტო ხელოვნება არ არის. ხელოვანი ხარ მაშინ, როდესაც სამყაროში შექმნილი ნიმუშების გამტარიანი ხარ და ამ ყველაფერს ხალხს აწვდი ისე, რომ მათთვის სულის ენაზე საუბრობ და გასაგებია, რადგან ხელოვნების მხოლოდ სიტყვებით გადმოცემა ვერ მოხდება სრულფასოვნად, მაგრამ კიდევ უფრო დიდი ხელოვანი ხარ, როდესაც ნიმუშებს შენ ქმნი და კიდევ უფრო დიდი, როდესაც შენვე გადმოსცემ. აჰა, ავედით უფრო მაღლა და მაღლა. ცოტა ხანში ორგაზმიც იქნება, დაელოდეთ.

ოპერის მომღერლები „ტოსკას“ ზურაბ ანჯაფარიძეს უძღვნიან

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგმული „ტოსკას“ ერთ-ერთ სპექტაკლს შემოქმედებითი ჯგუფი უდიდესი ქართველი ტენორის ზურაბ ანჯაფარიძის ხსოვნას უძღვნის.

12 აპრილს ზურაბ ანჯაფარიძის დაბადებისა და გარდაცვალების დღე იყო. მას 91 წელი შეუსრულდებოდა. ოპერის მომღერალი 69 წლის ასაკში საკუთარ დაბადების დღეზე გარდაიცვალა. იგი ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღშია დაკრძალული, იქვე მდებარე სკვერში კი მისი ბიუსტია აღმართული.

ინფორმაცია „ტოსკას“ ზურაბ ანჯაფარიძისადმი მიძღვნის შესახებ ოპერის მომღერალმა გიორგი გაგნიძემ გაავრცელა:

– „ტოსკას“ ვუძღვნით უდიდეს ტენორსა და უდიდეს პიროვნებას, ბატონ ზურაბ ანჯაფარიძეს. ბედნიერი ვარ, რომ სიცოცხლეში ურთიერთობა მქონდა ასეთ ლეგენდარულ პიროვნებასთან.

„ტოსკას“ მონაწილე სოლისტები არიან ნანა ქავთარაშვილი, ნუგზარ (ვალერიანო) გამგებელი, თქვენი მონა-მორჩილი და ასევე მთელი დასი და ორკესტრი.

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში XIX საუკუნის ქვევრი დაამტვრიეს

პუბლიცისტისა და მთარგმნელის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში სარესტავრაციო სამუშაოების დროს XIX საუკუნის ქვევრი დაამტვრიეს.

ინფორმაცია ამის შესახებ გიორგი ჩუბინიძემ გაავრცელა:

– XIX საუკუნის ქვევრი მაცივრის ფუნქციის მქონე დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რესტავრაციისას ჯერ დაამტვრიეს, შემდეგ ამოიღეს და ბეტონი დაასხეს.

რა ვთქვა აბა, როგორც იტყვიან, კომენტარის გარეშე.

ქართულ ანბანს გუგლში საგანგებო გამოფენა მიუძღვნეს

გუგლმა ქართულ ანბანს 14 აპრილთან – დედა ენის დღესთან დაკავშირებით საგანგებო გამოფენა მიუძღვნა და თავის ონლაინპლატფორმაზე ჩატვირთა.

ინფორმაცია ამის შესახებ ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– ბევრი აღნიშნავს ქართული ენის დღეს, თუმცა, სიამაყით ვიტყვი მხოლოდ, რომ ხელოვნების სასახლემ მოახერხა და წელს ეს ეროვნული ზეიმი საერთაშორისო მასშტაბის გახადა!

14 აპრილის აღსანიშნავად გუგლმა ქართულ ანბანს საგანგებო გამოფენა მიუძღვნა და ონლაინპლატფორმაზე ჩატვირთა.

იყალთოს აკადემიის ტაძრის რესტავრაცია არაპროფესიონალურად მიმდინარეობს

იყალთოს აკადემიის ტაძარი VI საუკუნეში ერთ-ერთმა ასურელმა მამამ ზენონმა დააარსა, რომლის წმინდა ნაწილებიც ამავე მონასტერში განისვენებს.

თამუნა გოჩიაშვილმა ინტერნეტში ტაძრის დაზიანების ფოტოები გაავრცელა და სინანულით აღნიშნა, რომ უძველესი ტაძრის ერთი ბზარისთვის ტონობით ბეტონია გამოყენებული:

– ეს იყალთოს აკადემიის ტაძარია. ნუ, დაზიანებას კი ვხედავთ, მაგრამ რესტავრაციის ეს მეთოდი ვის მოუვიდა თავში აზრად. ერთი ბზარის გულისთვის ტონობით ბეტონი.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა – თქვენც გირევიათ ამაში ხელი თუ ეპარქიის თვითშემოქმედებაა.

ლაშა ბაქრაძე ნოე ჟორდანიას ბიუსტის დადგმას ითხოვს



ლიტერატურის მუზეუმის ხელმძღვანელი ლაშა ბაქრაძე იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნილი ნოე ჟორდანიას ბიუსტის დადგმას ითხოვს:

– 3 წლის წინ აღმოვაჩინეთ იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნილი ნოე ჟორდანიას ბიუსტი, რამდენადაც ვიცით, ერთადერთი ცოცხალი ნატურიდან.

ქართულ მედიას უნდა ავუხსნათ, რომ ეს ნამდვილი სენსაციაა, 100 წლის წინ გაკეთებული ბიუსტი ყველას სამუდამოდ დაკარგული, განადგურებული ან ისე დამალული ეგონა რომ, ვფიქრობდით, პოვნის შანსი მინიმალური იყო.

გასულ წელს, რესპუბლიკის 100 წლისთავზე მაინც მოველოდით, რომ ბრინჯაოში ჩამოასხამდნენ და სადმე დაიდგმებოდა. პირადად მე ვფიქრობ, რომ ან ახალგაზრდობის სასახლის წინ, ან მიმდებარე პარკში იქნებოდა უპრიანი ძეგლის დადგმა, მაგრამ ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

იქნებ წელს მაინც მოხერხდეს. შეგახსენებთ, სანამ ცოტა დრო კიდევ არის, თორემ, ხომ ვიცით, 25-ში გაგვახსენდება, რომ ხვალ 26 მაისია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯალეიდოსკოპი

გაბრაზებულმა კლიენტმა სტილისტს თავი გადაპარსა

ჩინეთის ქალაქ ჩუცინში პოლიციამ დააპატიმრა მამაკაცი, რომელმაც ცუდი ვარცხნილობის გამო სტილისტზე შური იძია.

სათვალთვალო კამერის ჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ბრაზობს უკმაყოფილო მამაკაცი სტილისტის მიერ მისთვის გაკეთებული ვარცხნილობის გამო.

– აი, ეს არის ის სტილი, რომელიც მე მსურდა, – აჩვენებს ის მობილური ტელეფონის ეკრანზე ფოტოსურათს, – ახლა კი მე შემომხედე. ახლა მე შეგჭრი შენ თმას!

ამ სიტყვების შემდეგ მამაკაცმა სტილისტი, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა, ძალით დასვა სავარძელზე და თმის შეჭრა დაუწყო. რამდენიმე წუთის შემდეგ სტილისტმა მისგან თავის დაღწევა მოახერხა და ქუჩაში გავარდა.

სტილისტმა პოლიციაში დარეკა და მომხდარის თაობაზე აცნობა. მისი მტკიცებით, თმის ძალით შეჭრის დროს მამაკაცმა მას თავის კანი დაუზიანა. უკმაყოფილო კლიენტი დააპატიმრეს და თავდასხმის ბრალდება წაუყენეს.

სპილოებმა ნიანგებით სავსე წყალში ჩავარდნილი სპლიყვი გადაარჩინეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტები სპლიყვის მოზრდილი სპილოების მიერ გადარჩენის თვითმხილველები გახდნენ. ერთ-ერთი მათგანის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთი გამოცემის გვერდზე გამოქვეყნდა.

– ჩვენ შეშინებული ვადევნებდით თვალს უარესის მოლოდინში, – ამბობს ვიდეოს ავტორი, – სპლიყვი თავგანწირვით ფართხალებდა, არადა, ნიანგებით სავსე წყალში ასეთი მოძრაობები, ფაქტობრივად, რეპტილიების სანადიროდ წაქეზებას ნიშნავს.

როდესაც სპილოების ჯოგმა სპლიყვის გაუჩინარება შენიშნა, დედა სპილო და კიდევ სამი მოზრდილი მისი თანამოძმე მის საშველად წყალში შეცვივდნენ. სპლიყვმა დედის ზურგზე აცოცება მოახერხა, თუმცა იქ თავის შემაგრება ვერ შეძლო და ისევ წყალში ჩავარდა. საბოლოოდ სპილოებმა ერთიანი ძალისხმევით სპლიყვის სამშვიდობოს გაყვანა შეძლეს.

თურქეთში მანეკენების კოცნისთვის მამაკაცები დააკავეს

თურქეთის ქალაქ ანტალიაში დააკავეს სამი ადგილობრივი მამაკაცი, რომლებმაც მაღაზიიდან ქურქი მოიპარეს და იქ დადგმულ მანეკენებს კოცნიდნენ.

11 აპრილის დილას მაღაზიის მფლობელმა შენიშნა, რომ საჩვენებლად და გასაყიდად გამოტანილი ქურქი ადგილზე აღარ იყო და პოლიცია გამოიძახა. მანეკენზე უამრავი თითების ანაბეჭდი დააფიქსირეს, ხოლო სათვალთვალო კამერამ სამი 25-დან 30 წლამდე ასაკის კანონის დამრღვევი მამაკაცი გადაიღო, რომლებიც მაღაზიაში ღამით შეიპარნენ.

– ისინი მანეკენებს კოცნიდნენ და უხამსად ეალერსებოდნენ, – განაცხადა პოლიციეს წარმომადგენელმა, – ამის შემდეგ კი მათ ქურქი მოიპარეს და დანაშაულის ადგილიდან მიიმალნენ.

ეჭვმიტანილები იმავე დღეს დააკავეს, შემდეგ კი პოლიციის კონტროლის ქვეშ გაათავისუფლეს. გამოძიება ინციდენტის დეტალების გარკვევას აგრძელებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

15 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.6953

ევრო — 3.0481

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5252

100 რუსული რუბლი — 4.1943

ამინდის პროგნოზი 15 აპრილისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

9 აპრილიდან

ჯოზეფ რადიარდ კიპლინგი

მაუგლის ამბები

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

16 აპრილიდან

მარკ ტვენი

პრინცი და მაწანწალა



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

12 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

19 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

3 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

იუმორი

ავტობუსში პიკის საათის დროს მამაკაცი მის წინ მდგომ ქალს ეუბნება:

– ჩადიხართ.

– არა.

– კი არ გეკითხებით, გაფრთხილებთ.

•••

მამაკაცი მდივანს ეუბნება:

– თქვენი ხელმძღვანელის ნახვა მინდა.

– სამწუხაროდ, შეუძლებელია, ადგილზე არ არის.

– როგორ თუ არ არის? ორი წუთის წინ მისი კაბინეტის ფანჯარაში დავინახე!

– იმანაც დაგინახათ...

•••

მამაკაცი ექიმს ურეკავს და ეუბნება:

– ექიმო, სასწრაფოდ უნდა მოხვიდეთ, ჩემს ცოლს ბრმა ნაწლავის შეტევა აქვს!

– დამშვიდდით, ნუ ნერვიულობთ, თქვენს ცოლს ბრმა ნაწლავი ორი წლის წინ ამოვკვეთე. ასე რომ, ადამიანს ორი ბრმა ნაწლავი არ შეიძლება ჰქონდეს.

– მართალია, ექიმო, მაგრამ, ხომ შეიძლება, კაცმა მეორე ცოლი მოიყვანოს?

•••

დასჯილი კუთხეში მდგარი ბავშვი დედას ეკითხება:

– დედიკო, ხომ არ გიფიქრია იმაზე, რომ არასწორად დამსაჯე?

– არა!

– სამწუხაროა! აი, დგას ბავშვი კუთხეში, მშობლებზე ცუდ რაზეს ფიქრობს და შენ ეს გინდა?

•••

საოპერაციოში ანესთეზიოლოგი პაციენტისკენ დაიხარა, რათა ნარკოზის ნიღაბი გაუკეთოს სახეზე. მამაკაცს სუნი ეცა და ეუბნება:

– შენ ხომ მთვრალი ხარ!

– მთვრალი ვარ? ჰო, ძვირფასო! და შენ ქირურგი უნდა ნახო!

•••

ცოლი ქმარს ურეკავს და ეუბნება:

– ძვირფასო, კომპიუტერი არ მუშაობს.

– დიდ ღილაკს თითი დააჭირე?

– დავაჭირე.

– შტეფსელში მავთული შეერთებულია?

– ახლავე ვნახავ, დაიცადე, ფარანს ავიღებ...

– ფარანი რისთვის გინდა?

– შუქი არ არის...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კეიტ მიდლტონს სამეფო მომავალს უწინასწარმეტყველებენ

სამეფო ოჯახის მკვლევარმა რებეკა ლონგმა იწინასწარმეტყველა, რომ კეიტ მიდლტონი იქნება დიდი ბრიტანეთის მომავალი დედოფალი. ამის შესახებ მან ერთ-ერთ საინფორმაციო პორტალს განუცხადა.

ლონგი მიიჩნევს, რომ ლონდონის სამეფო კოლეჯში დედოფალ ელისაბედ II-თან ერთად 37 წლის კემბრიჯის ჰერცოგინია კეიტის გამოჩენა იმის მტკიცებულებაა, რომ დედოფალი თავის შემცვლელს ამზადებს.

– ბოლო წლებში კეიტი საკუთარ თავზე ცოტ-ცოტა ახალ მოვალეობებს იღებს, რათა შემდეგ, როდესაც უკვე ამის დრო დადგება, თავი არ შეირცხვინოს. უილიამი და კეიტი ხალხისთვის საყვარელი სამეფო ოჯახის წევრები არიან. ხალხს მათი სამეფო ტახტზე ხილვა გაუხარდება, – განმარტა ლონგმა.

შეგახსენებთ, რომ პრინც უილიამს მეორე ადგილი უკავია ტახტის მემკვიდრეთა რიგში, თავისი მამის პრინც ჩარლზის შემდეგ. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი თავის მეუღლე კამილასთან ერთად მოსახლეობის დიდი სიყვარულით არ სარგებლობს.

მეგან მარკლმა მეფურად მშობიარობა გადაწყვიტა

სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლის მეგობრები აცხადებენ, რომ პრინც ჰარის მეუღლე სახლში მშობიარობას აპირებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მეგან მარკლმა გადაწყვიტა, მაგალითი დედოფალ ელისაბედ II-ისგან აიღოს და უარი თქვას სამშობიაროში გადაყვანაზე. უფრო ადრე ცნობილი გახდა, რომ სასექსის ჰერცოგინია არ აპირებდა იქ მშობიარობას, სადაც კეიტ მიდლტონმა და პრინცესა დიანამ იმშობიარეს – ლონდონის წმინდა მარიამის სახელობის საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებაში. ბევრი ფიქრობდა, რომ მეგან მარკლმა და პრინცმა ჰარიმ უინძორის ფროგმორ-ჰაუსის ქალაქგარე რეზიდენციის მახლობლად მდებარე სამშობიარო შეარჩიეს, რათა ამით პრესის გადამეტებული ყურადღება თავიდან აეცილებინათ.

ასევე აღსანიშნავია, რომ მეგან მარკლს მაინც დასჭირდეს სამშობიაროში გადაყვანა, ვინაიდან ის უკვე 37 წლისაა. ექიმები შიშობენ, რომ მას შესაძლოა საკეისრო კვეთის გაკეთება დასჭირდეს. თუმცა, მისი მეგობრები ამტკიცებენ, რომ მომავალი დედა ყოველდღე იოგათია დაკავებული და ფეხმძიმობა ადვილად მიმდინარეობს. ასე რომ, მძიმე მშობიარობას არ მოელის.

ბიჭმა გოგონა დამნაშავეებს ხელიდან გამოსტაცა

დიდ ბრიტანეთში პატარა ბიჭმა გოგონას მოტაცება აღკვეთა და გმირად იქცა.

ტირნან მაკრიდი ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქ დერის ბოგსაიდის რაიონში იმყოფებოდა, როდესაც დანაშაულის თვითმხილველი გახდა.

– მან დაინახა, თუ როგორ ცდილობდა სამი დამნაშავე მსუბუქ სატვირთო მანქანაში 18 წლის გოგონას შეთრევას, – განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა, – ტირნანმა ამაზე სწრაფი რეაგირება მოახდინა, მან დამნაშავეები ყვირილით შეაშინა, ხოლო მათგან თავდაღწეული გოგონა უსაფრთხო ადგილას გადაიყვანა.

შემდეგ მან მომხდარის შესახებ დედას უამბო, მან კი პოლიციის განყოფილებაში დარეკა.

– ყველაფერი შესაძლოა საკმაოდ ტრაგიკულად დასრულებულიყო. იმ გოგონას ადგილზე შესაძლოა ჩვენი ოჯახის ნებისმიერი წევრი აღმოჩენილიყო, – აღნიშნა პოლიციის თანამშრომელმა.

ბიჭი გამოჩენილი მამაცობისთვის საპატიო ორდენით დააჯილდოვეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 5. ძველინდური ეპოსი; 6. ავსტრიის დაპყრობის ჰიტლერული გეგმა; 8. ... ყანთელი; 10. გერმანიის საფეხბურთო კლუბი; 11. სოფელი ფშავში; 13. სპორტული საქონლის ფირმა; 16. კომპიუტერული პროგრამა; 18. დაფქვის სანაცვლო სარგებელი მეწისქვილეს; 19. რაიმე მოქმედების თავისებური წესი; 21. ლაშა ბუღაძის მინიპიესა; 22. საზღვაო ბრძოლის ძველებური ხერხი; 23. ბოსტნეული მცენარე გამსხვილებული ფესვით.

შვეულად: 1. თათრებისა და ბაშკირების სახალხო დღესასწაული; 2. ფრანგული ავტომარკა; 3. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ქართლში; 4. ფრანგული საბრძოლო თვითმფრინავი; 7. შოკოლადის ხე; 9. თერგის მარცხენა შენაკადი; 12. ზოგი შემოქმედის გამოგონილი გვარი და სახელი; 14. წავისებრთა ოჯახის მღრღნელი ცხოველი; 15. დამკვრელი, მოცეკვავე ან მომღერალი (ძვ.); 17. საუბრის ფორმით დაწერილი ლიტერატურული ნაწარმოები; 20. აეროპორტი პარიზში.